“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№7 (247)
ივლისი
2019 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეერთე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

საქართველოს მწერალთა კავშირის 25-ე ყრილობა

მიმდინარე წლის 23 ივნისს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის 25-ე ყრილობა, რომელიც გახსნა კავშირის უხუცესმა წევრმა აკაკი ბრეგაძემ. ყრილობას გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებები წარუდგინეს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეებმა – მაყვალა გონაშვილმა, რევაზ მიშველაძემ, ბაღათერ არაბულმა, სოსო სიგუამ, თემურ ჩალაბაშვილმა. მოსმენილი იქნა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ურთულესი ფინანსური მდგომარეობისა, ყრილობიდან ყრილობამდე მაინც შეძლეს განეხორციელებინათ მნიშვნელოვანი მუშაობა, რაც ხელს შეუწყობდა ქართული მწერლობის განვითარების საქმეს. აქვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების (მწერალთა სახლის) უკან დაბრუნება არც ამ ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი და მათ მიერვე შემოქმედებითი კავშირები ბედის ანაბარადაა მიტოვებული – ვერავითარ სუბსიდიებს სახელმწიფოს მხრიდან ვერ ღებულობენ, რის გამოც შეუძლებელია ქართული მწერლობის, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილის განვითარება, რაც დიდად აზარალებს ქართულ კულტურას, ხოლო მავანთა წახალისებით ხელშეწყობილია მწერალთა ის ნაწილი, რომელიც ვერ ქმნის ჭეშმარიტ ქართულ მწერლობას და სულიერ დეგრადაციას ახდენს ჩვენი მომავალი თაობის ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე. შესაბამისად მოყვანილი იქნა მრავალი ფაქტი, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცევა მწერლობის განვითარების საქმეს როგორც ევროპულ ქვეყნებში, ასევე ჩვენს სამეზობლოში.

ყრილობა, როგორც ყოველთვის, ამჯერედაც სიტყვაში გამომსვლელთა მწვავე გამოსვლების ფონზე წარიმართა. გამომსვლელებმა ავთანდილ ნიკოლაიშვილმა, დავით თედორაძემ, ჯემალ დობორჯგინიძემ, დავით ახლოურმა, ლაშა გვასალიამ, დავით გიგინეიშვილმა, რეზო ადამიამ, მანანა ცხვედიაშვილმა, დალი ყარაულაშვილმა, თემურ ცერცვაძემ, მზია ხეთაგურმა და სხვებმა, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია მწერალთა კავშირის ახლადარჩეულმა სამდივნომ და ხელმძღვანელობამ, მაქსიმალურად გააუმჯობესოს მუშაობა, მეტი კონტაქტები დაამყაროს რეგიონულ ორგანიზაციებთან, თითოეულ მწერალთან და იზრუნონ კავშირში მწერალთა მიღების ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე, მწერალთა რიგების გაახალგაზრდავებაზე და სხვ.

მწერალთა კავშირის გამგეობის მუშაობა შეფასდა დადებითად და მიღებული იქნა წინადადება, რომ ამა წლის სექტემბერში, რესპუბლიკის სხვა შემოქმედებით კავშირებთან ერთად, მოეწყოს ერთობლივი გაერთიანებული ყრილობა სახელმწიფოს მხრიდან შემოქმედებითი კავშირების მიმართ დამოკიდებულების პოზიტიურად შეცვლის მოთხოვნით.

ყრილობაზე მოისმინეს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხებიც და შემდეგ არჩეული იქნა მწერალთა კავშირის როგორც ბიუროს, ასევე გამგეობის ახალი შემადგენლობა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია პოეტი მაყვალა გონაშვილი, სამდივნო – რევაზ მიშველაძის, სოსო სიგუას, ბაღათერ არაბულის და თემურ ჩალაბაშვილის შემადგენლობით, ხოლო გამგეობის წევრებად არჩეულია: ბელა ალანია, დავით ახლოური, ზაალ ბოტკოველი, აკაკი ბრეგაძე, მანონ ბულისკერია, ლაშა გვასალია, ჯუბა გოგრიჭიანი (ღებელი), მანანა გორგიშვილი, ანნა ერისთავი, დავით თედორაძე, მთვარისა კერესელიძე, ლუარა კვანტალიანი, ნიკოლოზ კურტანიძე, თეიმურაზ ლანჩავა, ნაირა მარშანია, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ფარნა რაინაული, რეზო სტურუა, დათო ტიგინაშვილი, ნინო უძილაური, ვახტანგ ღლონტი, ოთარ ფალიანი, ბადრი ქუთათელაძე, თამარ შაიშმელაშვილი, ქეთევან შენგელია, თემურ ჩალაბაშვილი, მარინე ცხვედიაშვილი, გულნაზი ხარაიშვილი, მზია ხეთაგური, თამაზ ხმალაძე, მაია ხოფერია; სარევიზიო კომისიაში – გიორგი ბეჟიტაშვილი, ნუნუ დალაქიშვილი, იაშა თანდილავა.

ყრილობას თავმჯდომარეობდა მწერალი მურმან თავდიშვილი

აქვე გთავაზობთ ყრილობაზე რამდენიმე გამომსვლელის სიტყვას:

მწერლობის მისია

ბაღათერ არაბული

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, ყოფილი ხელისუფლების უგუნურობით დაკარგული საქართველოს ტერიტორიები, მოუგვარებელი კონფლიქტები და, საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობა, ნარკომანია და უცხოეთში ლუკმა-პურისთვის გადახვეწილი თანამოძმეების ბედი, „ნაციონალების“ ხელით დანგრეული ეკლესიები და დღესაც სახელმწიფოებრივი რელიგიის, მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული მათი დაუფარავი იდეოლოგიური ბრძოლა, ათასი ჯურის სექტანტური ჯგუფების მომრავლება, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ცნობიერების დაშლისა და დანაწევრებისკენაა მიმართული, განათლებისა და კულტურის ხელოვნურად გაერთიანებული სამინისტროები, უმუშევრობა და საზოგადოებაში გაბატონებული უიმედობა, ხშირად „ქართული ოცნების“ უნიათობა და პასიურობა, რაც ბოლო დღეებში რუსთაველზე მიმდინარე, საქართველოსთვის ძალიან საშიშ, ნაციონალების დადგმულ აქციებზე უფრო გამჟღავნდა, ქართველ მწერლებს გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ ჩვენი დუმილი და უმოქმედობა სამშობლოს ღალატის ტოლფასად აღიქმება! დღეს, უპირველესად, მწერლობას არა აქვს გაჩუმების უფლება! ჩვენ სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითი უნდა ვუჩვენოთ ხალხს!

დასაბამიდან ჩვენი ერის ცხოვრებაში ქართულ სიტყვას და მწერალს ყოველთვის დიდი მისია გააჩნდა, რადგანაც მწერლობა იყო ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირებულებების დამცველი და მატარებელი; რომ არა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი ზნეობრივი სამოქალაქო კონსტიტუციაა და მასზე იზრდებოდნენ თაობები; რომ არა ილია ჭავჭავაძე, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ხმალამოღებული იბრძოდა ერის გამოსაღვიძებლად და გადასარჩენად, რომელმაც დაუფარავად, პირდაპირ განაცხადა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, ზეციერი მიწიერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, მათ გარეშე საქართველო შეიძლება, აღარც ყოფილიყო!

მე-20 საუკუნეში მრავალჯერ ეცადნენ ქართველი მწერლის „მოთვინიერებას“, მისი სახელის დაკნინებას, რათა მედროვე პოლიტიკანებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისათვის თავისუფალი და უკონტროლო ასპარეზი ჰქონოდათ და ეს ნაწილობრივ შეძლეს კიდეც!

დღესაც, 21-ე საუკუნეშიც, ხშირად, იგივე გრძელდება: „საქართველოს არაეროვნული, „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და „სოროსში“ გამოზრდილი „ნაც-ელიტა“ 9 წლის განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა მწერლობის „ჩასარეცხად“. მათი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, კომუნისტებსაც რომ არ უკადრიათ, 500 მწერალი უკანონოდ გამოაძევეს მწერალთა კავშირის საკუთარი სახლიდან. „ნაცებმა“ დახურეს დიდი სამწერლო ისტორიის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და წაართვეს საკუთარი შენობა, ასევე, გააუქმეს ჟურნალები – „ცისკარი“, „მნათობი“, „საუნჯე“, ახალგაზრდული ჟურნალი „ნობათი“, ნორჩი თაობის საყვარელი ჟურნალი „დილა“ და ა.შ. ამ გაჭირვებამ და ცხოვრებისეულმა კატაკლიზმებმა, ერის ბედზე დარდმა იმსხვერპლა არაერთი ნიჭიერი მწერალი. არაერთი მათგანი კი დღესაც შიმშილით სიკვდილისთვისაა განწირული! ისინი, ფაქტობრივად, უხელფასოდ და უჰონორაროდ დარჩნენ.

სამწუხაროდ, ქართველთმოძულე სააკაშვილის მიერ ჩვენთვის ჩამორთმეული მწერალთა კავშირის შენობა, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე

დასასრული მე-9 გვ. ▶

დამტვრეული სავარძლები, ანუ 90-იან წლებამდე და ეროვნული მოძრაობის წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის თავკაცების ხსოვნას, აგრეთვე 25-ე ყრილობის მონაწილეებს!

მზია ხეთაგური

ჰო, თვალნათლივ მახსოვს თქვენთან დაკავშირებული ყოველი დღე, მსჯელობა, კამათი, თანხმობა-უთანხმოება... უბრალოებით სავსე გვქონდა გულები, მაგრამ თქვენი გონება არც ისე უბრალოდ და არც ისე დანდობით ებრძოდა მწერლური ღირსებისთვის მიუღებელ ფაქტებს, ადამიანებს, მიმდინარე პროცესებს...

მე – თქვენზე გაცილებით უმცროსს, გულმხურვალედ მიმიღია მონაწილეობა კამათში და არასოდეს მახსოვს, რომ გეთქვათ – შენ ვინ გეკითხება, ვისი ტიკი-ტომარა ხარო! ძალიანაც კარგად იცოდით, ვინ ვინ იყო და იმიტომ! იცოდით, რომ საკუთარი მუცლისგვრემით არ ვყოფილვარ დაავადებული და რომ ჩემი ლამის აღვირახსნილი გულახდილობა, სხვა არაფერი იყო თუ არა საზოგადოებრივ-მწერლური პოზიცია, რომელიც თქვენი პოზიციისაგან ოდნავ განსხვავების შემთხვევაშიც, მხოლოდ საერთო საქმეს ემსახურებოდა. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ მთელ საქართველოს ესმოდა პროფესიონალთა მხრიდან დილეტანტთა და გრაფომანთა მიმართ მწვავე კრიტიკის აუცილებლობა! როგორც ირკვევა, ენის მოჩლექვით ნათქვამი სიმართლე არც ისე შორს დგას პირფერობასთან, ხოლო სიძულვილის ენაზე ნათქვამი – პროვინციალიზმისაგან!

დღეს მწერალთა კავშირის არსებობის 100 წლის მანძილზე უკვე 25-ე ყრილობა მიმდინარეობს. სწორედ ზემოთ ნახსენები ენის მოჩლექვა ან სიძულვილის ენაა, ასე რომ ასამარებს ღირსეული ადამიანების მნიშვნელობას და ამ სამარეზე „ნაწვიმარ სილაში ვარდის“ ნაცვლად გამხმარი სიტყვების გროვა ყრია! საქმე ისეა აწეწილი, რომ ჯერაც შეუძლებელია – ვაჟა ჩორდელის მიერ ადრეულ წლებში გამოცემული გაზეთის სათაურისა არ იყოს, „ტყუილ-მართლის“ გარჩევა ე.წ. ოპოზიციის ფონზე! როგორც წინა ყრილობაზე, ახლაც, რამდენიმე, მაგრამ ერთსახოვანი „ოპოზიცია“ იბრძვის უკვე დამტვრეული, უზურგო სავარძლების შესანარჩუნებლად ან მოსაპოვებლად! და ვეჭვობ (გამონაკლისის გარდა), მწერლების ბედი ისე აღელვებდეს ვინმეს, რომ თითქმის შიმშილის ზღვართან მყოფ მართლა მწერალზე (ან, თუნდაც, უთვალავ ე.წ. „კავშირის წევრებზე“) ზრუნავდნენ ისე, როგორც საკუთარ კეთილდღეობაზე. ასეთ ზრუნვას, ანუ სამაგალითო ზრუნვას, საბჭოურ წლებშიც და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ, ურთულეს წლებშიც, ახერხებდით ისევ თქვენ! ახერხებდით ავტორიტეტით, გამიზნული დიპლომატიით და თავგანწირული ბრძოლით მართლა მწერალთა შემოქმედებითი სიცოცხლის შესანარჩუნებელ-გასაგრძელებლად!

მოჩვენებითობა გაქრა – წინ დაუნდობელი სიმართლეა, – როგორც არ უნდა გვიჭირდეს, უსათუოდ უნდა შევძლოთ და შევამჩნიოთ, რომ ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ძვრების ეპოქაში მოგვინია ცხოვრება. ჩვენ საპატიო, გამორჩეული, ფსიქოლოგიურად დატვირთულ პერიოდში არ-

დასასრული მე-PB გვ. ▶

ახლა სხვა დროა

ამირან ჯმუხაძე

გარეთ ცრიდა. გივი სწრაფად მიდიოდა. ქუჩაში მიმავალი ხალხს არ აკვირდებოდა, სამსახურში ეჩქარებოდა. ძლივს მიაღწია საწადელს, დიდი დაძაბულობის და ნერვიულობის ფასად დაუჯდა ყველაფერი, კერძო ფირმაში ამოყო თავი. ხელფასს დოლარებში უხდიდნენ ამ გაუბედურებულ დროში, როცა ხალხს ლარი ენატრება, გრძნობდა, რომ წინსვლა საგრძნობი იყო, ამიტომაც ეჩქარებოდა. არ უნდოდა თანამშრომლებში ცუდი სახელი დაემკვიდრებინა. გივი ეზოს გასცდა თუ არა, ცისკენ აიხედა, ამინდი გამოდარებას არ აპირებდა, უკმაყოფილომ ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო. ორი ნაბიჯი გადადგა თუ არა, ძაღლის წკმუტუნი შემოესმა, მარჯვნივ გაიხედა და გაშეშდა დაახლოებით ათი ძაღლი შემოხვეოდა ერთ გასისხლიანებულ, ბებერ ძაღლს. წკვიტლიანი თვალებიდან ცრემლი სდიოდა, სახე მთლიანად დაკაწრული ჰქონდა, საწყალი ხმამარლა კვნესოდა, წკმუტუნებდა. დანარჩენები კი ეფერებოდნენ, ენით ულოკავდნენ ჭრილობებს, დაჭრილი ძაღლი კი საცოდავად, უმწეოდ ატრიალებდა დიდ, წაბლისფერ თვალებს და შველას ითხოვდა

გივი ძლივს გამოერკვა. თვითონაც გადადგა ნაბიჯი მისკენ, მაგრამ ძაღლები ღრენით შემოუბრუნდნენ, ეტყობა მომაკვდავი ადამიანს დაესახიჩრებინა და ამიტომაც არ მიაკარეს. გივიმ უკან დაიხია, უცებ გაახსენდა, რომ ეჩქარებოდა, შემოტრიალდა და გზა განაგრძო

როცა შენობასთან გაჩერდა და „ფირმაში“ შედგა ფეხი, მენეჯერი შეეფეთა. გივის ახედ–დახედა, მერე საათს დახედა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მკაცრი ტონით უთხრა: – ასე არ შეიძლება, ჩემო გივი! ხომ იცი, კომუნისტების დრო აღარ არის, დრო წყვეტს ყველაფერს. ფირმას პატივი უნდა ვცეთ, დროზე უნდა გამოცხადდეთ სამსახურში!

– გასაგებია, ბატონო ანზორ! ტრანსპორტის გამო დამაგვიანდა!

– ხალხი შიმშილობს, გენაცვალე! ყველა სამსახურს ეძებს, კიდევ დააგვიანებთ და თქვენს თავს დააბრალეთ!

– გასაგებია, გასაგები, – ძლივს ამოილუღლუღა გივიმ

– შენთვის ვამბობ, გენაცვალე, ჭკუით იყავი, სხვა დროს აღარ გაპატიებ, – დაასრულა ლაპარაკი ანზორმა და კარიდან გავიდა. გივი კარებში შესვლას აპირებდა, როცა უფროსმა დაუძახა, გივი მაპატიე, სულ დამავინყდა, ჩვენს თანამშრომელს, ნატო ვაშაყმაძეს, დედა გარდაეცვალა და იქ უნდა წახვიდე, მეც მინდოდა წამოსვლა, მაგრამ უცხოელი სტუმრები ჩამოდიან, აეროპორტში გავრბივარ. მათ უნდა დავხვდე, აუარებელი საქმე მაქვს

და არ მეცლება, შენ კი, ძალიან გთხოვ, მასთან მიხვიდე ჩემს მაგივრად მიუსამძიმრე, ძალიან კარგი გოგოა, პატიოსანი, ალალი, არ მინდა უყურადღებოდ დარჩეს, თუ რაიმე პრობლემა იქნება მოსაგვარებელი აუცილებლად გამაგებინე! – დაამთავრა ლაპარაკი უფროსმა, მანქანის კარი გამოაღო, სწრაფად ჩაჯდა, ძრავი ჩართო და მანქანა ადგილს მოსწყდა.

– კომუნისტების დრო აღარ არისო, რა ეტყობა ამას გარდაქმნის, იგივე ფუნქციონერია, რაც ადრე იყო, – გაიფიქრა გივიმ და კაბინეტში შევიდა, თანამშრომელ გოგოებს დაუბარა, – თუ ვინმემ მიკითხოს, მალე მოვათქო. გივიმ ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და გარეთ გავიდა. ნატო მართლაც კარგი ადამიანია, გივი ძალიან დიდ პატივს სცემდა, მართალია დიდი ხანია არ იცნობდა, მაგრამ მისადმი დიდი სიმპატიით იყო განწყობილი. მას არც მამა ჰყავდა, არც ძმა და არც და. დედით სულდგმულობდა და, ისიც, გარდაიცვალა, ამ დროს ყველა ნორმალური ადამიანის ვალია მის გვერდით იყოს, უნდა გაამხნევოს, რომ სულიერად არ დაეცეს. იქვე „სამარშრუტო“ ტაქსი გაჩერდა, რამდენიმე წუთში ნატოს სახლთან იყო. გივის, სიმართლე რომ ვთქვად, არ უყვარდა პანაშვიდებზე სიარული. რაღაც უსიამოვნო შეგრძნებებს განიცდიდა, ადამიანის არარაობას გრძნობდა, მარტოობის განცდა ეუფლებოდა, მთელი დღის მანძილზე ცუდ ხასიათზე დგებოდა.

ნელი ნაბიჯით მიდიოდა, როცა მეორე სართულზე ავიდა, მამაკაცების ჩურჩულით ლაპარაკი შემოესმა. იფიქრა, ალბათ ნატოს ახლო ნათესავები არიანო, ხელი რომ არ შეშლოდათ, გაჩერება ამჯობინა. მათი ლაპარაკი უკვე გარკვევით ისმოდა:

– პეტრე, კაცო.კია ნატო ჩვენი ახლო ნათესავი და ჩვენი ვალია დავეხმაროთ კიდეც, მაგრამ ახლა სხვა დროა, ჩემო კარგო. აგერ, შე კაცო, სპეციალურად რვეული წამოვიღე და ყველაფერს ვინიშნავ, რაში რა დამეხარჯა. აბა, ასეა საქმე, ჩემო პეტრე, გაივლის დრო, გათხოვდება ნატალია და ფაფუ რეზოს ფულები!

– ესე როგორ ლაპარაკობ, შე კაი კაცო, რამ შეგცვალა! –აღშფოთება ვერ დაფარა მეორე მამაკაცმა, – თუ ეხმარები, სიკეთეს აკეთებ, ზედ მარილიც უნდა მოაყარო!

– ეხ, რეზო ბატონო, ჩამორჩენილხარ ამ ცხოვრებას!

– სიკეთის გაკეთება ჩამორჩენილობაა, კაცო?! – წამოწითლდა რეზო

– კარგი, შე კაცო, რამდენ ადამიანს დავეხმარე, ხელი გავუმართე, რა მივიღე, თანაც, ამ ცხოვრებას თუ არ აჰყევი, მის ნაბიჯს ასცდი, დაგასამარებს.

– კარგი რეზო, რეებს მიედ- მოედები, რას ბოდავ, ვეღარა გცნობ – არ ცხრებოდა პეტრე.

მათი ლაპარაკი უკვე ხმამაღლა ისმოდა.

– ნახავ, აგერ, – მკაცრი ტონით წარმოთქვა რეზომ, რომ დამთავრდება ყველაფერი.ამ ჩანაწერებს ვაჩვენებ ნატოს და დანარჩენი მაგან იცოდეს, ახლავე კი არ ვეტყვი, ფული დამიბრუნე-თქო. როცა შეძლებს, მაშინ გადამიხადოს, ნათესავი ნათესავია, მაგრამ ფული ფულია!

– შენთან ლაპარაკი აღარც ღირს, – ამოიხვნეშა პეტრემ და რეზოს გასცილდა.

რეზომაც ამოიხვნეშა და ჩუმად ჩაილაპარაკა: – ფულებს კი არ ვჭრი, მე მაინც ჩემსას გავიტან!

გივი ადგილიდან არ იძვროდა. გულის სიღრმეში რაღაც ჩაწყდა. ხასიათი მოეწამლა, უნდოდა უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ გადაიფიქრა, წინ წავიდა, რეზოს დანახვა სურდა, მაგრამ მესამე სართულზე ავიდა, იქ არავინ იყო. ოთახის კარი ღია დარჩენოდათ, შეაბიჯა თუ არა, ფერნასულ ნატოს მოჰკრა თვალი. განმარტოებით იჯდა სკამზე, როცა მიუახლოვდა, ნატომაც ამოხედა, გივის დანახვაზე ცრემლი წასკდა თვალებიდან, გივი მიუახლოვდა და მიუსამძიმრა, ცოტა ხანს ელაპარაკა და უკან გამობრუნდა. ქუჩაში როცა მიდიოდა, იქვე, მახლობლად, პატარა ძაღლი შენიშნა, რომელიც ლაქუცით მირბოდა. ამის დანახვაზე, დილის ამბავი გაახსენდა, როგორ ეფერებოდნენ მომაკვდავ ძაღლს სხვა ძაღლები, რა უანგაროდ, რა მონდომებით, აქ კი, რა მოისმინა, რა ამაზრზენი, რა დამამცირებელი დიალოგი. ნეტავი ვინ იყო ის რეზო, რას წარმოადგენდა, უცებ მოუნდა ასულიყო ზევით და ყბაში მოერტყა მისთვის, მაგრამ, რომ არ იცნობდა?

სამსახურში აღარ დაბრუნებულა. მაშინვე სახლში წავიდა. როცა ეზოს მიუახლოვდა, ის ძაღლი დაინახა, დილას რომ ნახა, მას მშვიდად ეძინა

მაშინვე გაიფიქრა გივიმ, – საკვირველია, მაგრამ, საინტერესოა, რომელია ძაღლი და რომელი ადამიანი?! და ხელი ჩაიქნია.

გარეთ ისევ ცრიდა!

თომას საჩუქარი

მაია დიაკონიძე



თომას სკოლაში ეჩქარებოდა, მეგობრისთვის უნდა გაეარა, იმასთან ჰქონდა დატოვებული საჩუქარი – პატარა ხის ყუთი, ქართული ჩუქურთმებით, ნინოსთვის რომ შეაფუთინა, სკოლაში ჩუმად უნდა მისცეს, მაგრამ ეგრეც რომ არ გამოვა?! იმხელა ქაღალდში შეახვიეს, ზედ ბაფთაც გაუკეთეს! კიდევ კარგი, ქაღალდის პარკი მაინც შეარჩია სადა. „მაგათ რა ვუთხარი", – ფიქრობდა ბიჭი, ეს ზედმეტი საზეიმო განწყობა რაღა საჭიროაო, მაგრამ თვითონაც სიხარულით დაფრინავდა. თხუთმეტი წლის გახდა ნინო, მის დანახვაზე ელეთმელეთი მოსდიოდა, ნეტავ, ასეთი რამე სხვასაც სჭირს, რა თქმა უნდა, შეყვარებულებს გულისხმობდა, თუ მარტო მეო, – გაოგნებული ფიქრობდა ბიჭი.

– ალექსიო! – შესძახა მეგობარს და ჭიშკართან გაჩერდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. გამოვიდა ალექსი, ერთ ხელში ქაღალდის პარკითა და ზურგზე ჩანთით. პარკი ხელში შეაჩეჩა მეგობარს, თანაც ისე გაუღიმა, ცალი ყბით, თითქოს რაღაცა დიდ საიდუმლოს ინახავდა. გვერდი გაჰკრა თომამ, – შენებს ხომ არაფერი უთხარიო?

– არა, სახლში ისე შევიტანე, ვერავინ შეამჩნიაო, – იყო პასუხი.

– ჩემთან, ხომ იცი, ბებიაჩემი ყველაფერს აკონტროლებს, ისე ვერ შევიტანდიო, – თითქოს მოუბოდიშა თომამ.

– არაფერიაო, – მხარზე ხელი მოუთათუნა ალექსიმ. მეგობრებმა რაღაცა დიდის მოლოდინში გზა განაგრძეს.

– გაკვეთილიდან შენ გამოიყვანეო, – სთხოვა თომამ მეგობარს, იმან უხმოდ დაუქნია თავი. სკოლაში მისულებს კლასელები შემოეხვივნენ, ყველამ იცოდა თომას რომ პარალელურ კლასელი ნინო უყვარდა. აინტერესებდათ, რა იყო პარკში, განსაკუთრებით, გოგოები არ აცილებდნენ თვალს საჩუქარს. ზოგიერთს შურიც აღძვროდა ნინოს მიმართ, თომა ხომ სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, გინდა სწავლითა და გინდა შესახედაობით, გინდა ზრდილობითა და გინდა ვაჟკაცობით, მაგრამ ახლა რატომღაც დაემორცხვებინა და გოგოებისთვის თვალებში შეხედვისა ერიდებოდა. სკოლის ზარი დაირეკა და გაკვეთილებიც დაიწყო. პირველი მათემატიკა ჰქონდათ.

– კარგი ქალია, მაგას ვთხოვოთ, გაკვეთილიდან გაგვიშვას, ნინო გამოვიყვანოთო, – უთხრა თომამ გვერდზე მჯდარ ალექსის. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ბიჭმა. ოთახიდან გასულები პარალელური კლასის ოთახს მიადგნენ. კედლები თითქოს ირყეოდა, გადი-გამოდიოდა, თომას ჩურჩული ესმოდა, – თომას ნინო უყვარსო. ეს ხმა სულ უფრო ცხადი ხდებოდა:

– საიდან ისმისო, – ფიქრობდა თომა, – იქნებ, ნინოს საკლასო ოთახიდან, იქნებ, სამასწავლებლოდან, იქნებ, დირექტორის ოთახიდან. მგონი იცინიან კიდეც, ეგ რა ნინოს შესაფერისია, ღარიბია, ცალ-ცალი კალოშით დადის, ანდა, რა საჩუქარი უნდა მოუტანოს, რომ გააკვირვოს, მთელი ოჯახი რომ გაყიდოს, ისეთს ვერაფერს შეიძენსო.

ჭოჭმანებს ბიჭი, – ღირს კი ნინოს გამოყვანა?! მართლა არაფერია ქვეყანაზე ნინოს შესაფერისი, ის რომ გაახაროს, ის რომ გააკვირვოს. ალექსი ატყობს მეგობარს, რომ აღარ უნდა საქმის გაგრძელება:

– რას შვრები, ბიჭო, გაგიჟდი? მთელმა სკოლამ რომ გაიგო ამ საჩუქრის ამბავი, ახლა იხევ უკან იხევ? – ეუბნება და ჯიქურ აღებს კლასის კარებს. გაკვეთილიდან გამოჰყავს ნინო. გოგონა ნათელი თვალებით შეჰყურებს ბიჭებს, ელოდება, რას ეტყვიან.

პარკსაც ხედავს, თომას რომ მორიდებით უჭირავს ხელში. რომ არ გამოართვას, უზრდელობა იქნება, უხმოდ ჩამოართვა და გაკვეთილზე ბრუნდება. შვებით ამოისუნთქა სკოლამ, კედლებიც აღარ ქანაობენ, უბრალოდ, ერთმანეთს ეჩურჩულებიან: აიღე საჩუქარი, ესეც კარგიაო. გაკვეთილების შემდეგ მთელი სკოლა გაიკრიფა, მხოლოდ ორნი დარჩნენ ადგილზე, თავთავიანთ მერხებზე, თომა და ნინო. ნინომ, როგორც იქნა, გახსნა საჩუქარი, შიგნით წერილებია, მამამისის, დიდი ხნის წინ დაღუპულის, თომას დედისთვის მინაწერი, მაშინ ისინიც თხუთმეტი წლისანები იქნებოდნენ, ჩუმად ატირდა გოგონა, წერილები ცრემლის წვეთებით დაიფარა, – არ გავაფუჭოო, ხელი გადაუსვა ქაღალდებს, გულდასმით დააწყო ერთიერთმანეთზე. კედლები აღელდნენ, გაიწ-გამოიწიეს, გოგონას დაწყნარება უნდოდათ, იმ სიყვარულის მოწმე ესენიც იყვნენ, მდიდარ ბიჭს ღარიბი გოგონა ცოლად არ მოაყვანინეს, ეგ რა ჩვენი ოჯახის შესაფერისიაო. ნინო ადგა, ფრთხილად გაიარა დერეფანი და თომას კლასში შევიდა, იცოდა, იქ იქნებოდა. – დიდი მადლობაო, – ნაზად მოხვია ხელი მხრებზე და შუბლზე აკოცა. ხელიხელჩაკიდებული გამოვიდნენ სკოლიდან ბიჭი და გოგო. ახლა აივნებმა და ფანჯრებმა მორთეს ზრიალი, თითქოს ტაშს უკრავდნენ, ცნობისმოყვარედ იცქირებოდნენ, ტუჩ-კბილიც წინ წამოწიეს, საკოცნელად ემზადებოდნენ, ყველაზე ძალიან კი ის აინტერესებდათ, ნეტავ, როგორ დამთავრდება ამათი სიყვარულის ისტორიაო?!

დამტვრეული სავარძლები, ანუ 90-იან წლებამდე და ეროვნული მოძრაობის წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის თავკაცების ხსოვნას, აგრეთვე 25-ე ყრილობის მონაწილეებს!

▶ დასაწყისი გვ.1

სებობისა და მოღვაწეობის ღირსნი გავხდით, დიახ, დიახ, ღირსნი! ჩვენ გვერგო პატივი ამ უსაშველობაში ვუშველოთ და „წარვუძღვეთ ერს“. „მივცეთ მომავალი ხალხს“! წინამძღოლობა კი კვლავ ჩვენს ღირსებაში მდგომარეობს; უღირსი მდგომარეობის ღირსეულად გაძლებაში, ღირსეულად ამბოხში და ღირსეული სიტყვის თქმაში. მე ვლაპარაკობ მწერლებზე და არა გრაფომანებზე.

წლების წინ, ქართულ-ოსური მწვავე კონფლიქტის პერიოდში, ვწერდი: „წინ, ჯიგიტებო, წინ!“ ამ მოწოდებაში ჩემი გამწარებული სული უკან დახევისკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს, რადგან მაშინდელი მათი „წინსვლა“ ოსური ენისა და ფიზიკური განადგურების ტოლფასი იყო, ახლაც იგივეს ვიმეორებ, ოღონდ მოწოდების გადაადგილებით მწერლების მიმართ: „უკან, მეგობრებო,, უკან, ანუ წინ!“ – ღირსებისა და ერის გასაძღოლ გზაზე!„

სიბრძნითა და სულგრძელობით შევხედოთ გარდაუვალობის სიმკაცრეს, ანუ „მოვიკლათ წარსულ დროებაზე დარდი“... შევისუნთქოთ ყველა შხამი, სიბინძურე, სიცრუე, წყენა, ტკივილი, სიხარბე, სისუსტე, ძალადობა, უვიცობა, სიძულვილი, სიყვარულის ნაკლებობა... მაგრამ გამოვისუნთქოთ მხოლოდ სულიერი ჟანგბადი – ლიტერატურა!

სიცოცხლე დღესაც გრძელდება, ოღონდ იგი მოკლდება ყველგან და ყველასაგან მივიწყებული პატიოსანი სულის მწერლებისთვის.

რაც შეეხება დამტვრეულ სავარძლებს, აქ შემოქმედი დურგალია საჭირო და არა მჭახე, სიძულვილით სავსე ჩაქუჩი და ლურსმნები, რომლითაც ჯვარზე მიაჭედეს ქრისტე! კმარა ქრისტიანობისა და მისიონერთა სახელით ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მწერლების გაბრიყვების მცდელობა! კმარა პროვოკაციები, რომელიც, პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის მიმტაცებელი რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამს წყალს! ჯერჯერობით შენარჩუნებულ იმ 80 პროცენტს მაინც ნუ წავართმევთ ერთმანეთს. ყველამ ვიცით, რომ „სხვის საფლავს ვერავინ ამოავსებს!“ ხოლო დროებითი დიდებით ტკბობა მხოლოდ დროებითი ტკბობაა და ეს მარად ასე იქნება!

ჩემო კოლეგებო! ნებისმიერ თქვენგანს მივმართავ: მინდა მჯეროდეს, რომ ამ ჩემი ერთგულებით სავსე ტკივილიან სიტყვას იმ სიყვარულით მიიღებთ, რა სიყვარულითაც მიყვარხართ ყველანი, რადგან მე მიყვარს ლიტერატურა ჩემში და არა ჩემი თავი ლიტერატურაში (კ.სტანისლავსკის შეგონების მიხედვით).

ელვარდ ზაზაძე

სამკვიდროვ, ჩემო აგარა...

უფლის წესით და განგებით
ამვსებო ჩემივ საძვალის,
არცა ვარ თავი ვაჭართა,
არცა ვარ მეფის ნაცვალი...

ჩემ გზას მივყვები ნელ-ნელა,
ჯერ კიდევ დამრჩა სავალი,
ფიქრი დამყვება მეგზურად,
საგზლად – სიკეთის მარცვალი.

ერთი კაცი ვარ უბრალო,
მესხთა მზის სხივით გამთბარი,
აქაა ჩემი სამშობლო,
ლურჯი ცა, მწვანე მთა-ბარი.

აქ გავჩნდი, აქ გავიზარდე,
წლებმაც გული აქ დაღარა,
აქ დამათოვა მხრებზე და
თმებში გამიჩნდა ჭაღარა.

ოხერმა წუთისოფელმა
ვაჭ, თუ მაცალოს აღარა,
შენს ცქერას დავეშურები
სამკვიდროვ, ჩემო აგარავ!

ისე ვიცოცხლე ამქვეყნად,
არ გამიხედავს სხვა მხარეს,
რომ გაილევა ჩემი გზაც,
აქვე დავიდებ სამარეს!

ღმერთო

გამომეღვიძა წუხელ,
ვერ დავიძინე, ვერა,
ფიქრით დავადექ განვლილ,
ნაცნობ ბილიკებს ცერად.
ჯერ შევუდექი აღმართს,
მერე დავეშვი თავქვე,
ის რაც შორს იყო თითქოს,
თურმე ყოფილა აქვე.
ოშკი, ოპიზა, ბანა...
უცებ დამიდგა თვალწინ,
ქართველთა სულის სადგომს,
ახლა ათოვს და აწვიმს.
ლორფინებ აყრილ გუმბათებს
რომ გასჩენია ბზარები,
აქ აღარ უხმობს მლოცველებს
ტაძართა დედო ზარები.
რომ აღარ ჟღერენ ქართულად
სალამური და სტვირი,
ის, რაც გვქონდა და დავკარგეთ,
მენანება და ვსტირი.
მუხლებს მოვიყრი ახლაც,
უფალს ვავედრებ ცრემლით,
ღმერთო, მოჰმადლე ტაძრებს,
ნაგებს წინაპართ ხელით.
ღმერთო, ნუ წაგვიშლი გზა-კვალს,
განვლილს წინაპართა მიერ,
ღმერთო, ნუ შეგვიცვლი რწმენას,
მამულს, მხნეობას და იერს.
ღმერთო, ნუ წაგვართმევ ენას,
სულით ნუ დაგვტოვებ მშიერს,
ღმერთო, გაუმარჯვე ქართველს,
ყველგან ამერსა და იმერს.

გავცქერი შაორიდან

ფარავნის სიკამკამე ზეცაში ასარკულა,
ტბა ხელის გულზე დევს ბროლის ნატეხივით,
იქნებ შაორს ეტრფის, ციხეს მთათა შორის,
ქცეულს ნანგრევებად ჟამთა ქარტეხილი.
ვერცხლისფერად აირეკლა მთის
წყალთა მდინარება,
მზის სხივთა კაშკაში ანათებს ცას,
გავცქერი შაორიდან... ისე ლამაზია,
ვერაფერს ვინატრებ სხვას.
ქარი მონაბერი არღვევს მდუმარებას,
ღელავს ყვავილების ფერთა იდილია,
ვდგავარ მთის წვეროზე და ფიქრი
არ მასვენებს,
„ჩვენი სიცოცხლეც ხომ დროსთან ჭიდილია“.

მაინც აღმა შევუყვები მდინარებას

რას დამაკლებს სიბერე და ხორცის ჭკნობა,
როცა სული ზეცისაკენ ილტვის მარად,
წუთისოფლის ამ ჭაობში ფსკერზე გდებას
არ ვიკადრებ მტრების გულის გასახარად.

მეც ამიტომ აღმა მივდევ მდინარებას,
ვით კალმახი ჩანჩქერისთვის გაჩენილი,
მთის ანკარა ნაკადულთა მოტრფიალე
თავთხელებში ბოლოს უწყლოდ დარჩენილი.

თუ გავხდები ყვავ-ყორანთა საზიარო
და დასრულდა ლურჯ ტალღებზე ჯირითობა,
სხვას დავუთმობ სიცოცხლეს და თეთრ
ჩანჩქერებს,
ვით კალმახი მორჩენილი ქვირითობას.

რადგან ვიცი, ბოლოს მაინც სიკვდილია
და საფლავი პირდაღებულ სამარხივით,
მაინც აღმა შევუყვები მდინარებას,
ჩანჩქერებზე შეფენილი კალმახივით.

კლარა გელაშვილი

მამაო...

დაცვედნდნენ რაშები,
დოღს ვიღა გამართავს?!
ყოფაა აღსავსე
უსახო იჭვებით,
მამაო, სამყარო
შებოლილ თევზსა ჰგავს,
მამაო, გონს ვეღარ
მოდიან ბიჭები!..

ბუდეთა შენებით
ჩიტები ჯობნიან, –
ბუნების კანონებს
ერთგულად იცავენ...
ცხოვრების ზვირთებზე
უმწეოდ ვქანაობთ,
არ ვიცით, რა ძალით
და სად გაგვრიყავენ...

აწ, უქარქაშო ხმლებს,
ეძებოთ, ვერ ნახავთ,
დაჟანგდნენ, დაბლაგვდნენ,
იპობა ბზარები,
დანგრეულ ბუდეში
მართვენი წივიან,
მამაო, სასწრაფოდ, –
განგაშის ზარები!!!

ვინც თვალი მშიერი
სხვის ბაღნარს დაადგა,
ზოგს სული და ზოგს კი
მზის სხივი წაართვეს,
მამაო, არც ხმალი სჭირდებათ,
არც ტყვია –
ჯანსაღი თაობის
მოსპობით გაგვძარცვეს!...

სამშობლო მიწაა...
სამშობლო – ხალხია...
ერთზე სხვა მოცოცავს,
მეორეს – დრო დევნის,
მამაო, ელდა რომ
ზენიტზე ავიდა,
ამ ყოფას, მითხარი,
გავუძლებთ როდემდის?!

გავხელდი...შიში მკლავს,–
გლობალურ შეტევას
ვგრძნობ, ვუმზერ,
ვერ ვცვლი და
უმწეოდ ავტირდი...

მამაო, მამხნევებს,
რაც შენ გაქვს პასუხად: –
მთად ჯერ ვინ გააწყო
მართვე და არწივი!...

კობა მოდებაძე

***

ქარბორბალა, ქარბორბალა,
ბორიალა ქარი,
აი, თურმე, როგორია
ზამთრის ბოლო ზღვარი.
ეფემერულ მარტის ნამქერს
გაიყოლებს ჩქარი,
ეს რუები, ეს მდინარე
სათნოების მგვანი.
ბინდი ფერავს ყვითელ რტოებს,
სიოდ დაწდა ქარი,
ეთხოვება სიმარტოვეს,
ენძელათა ჯარი,
ნაზად ამხელს მარტის სათქმელს
ბორიალა ქარი;
აი, თურმე, როგორია
გაზაფხულის ძალი.

***

რა საოცრად გაზაფხულდა,
რომ დაგვითბა მიზნის მოსხმად,
მზე ღიმილით დაგვიბრუნდა
და მომინდა ყოფნა მგოსნად.
სხივმა ჩრდილი მიმოფანტა,
მიახატა მთების კალთებს,
ციკლამენთა თოთო ფარდა,
გაზაფხულო დაგვიფარე.
თუ არ გენვის სული ძველით,
რას გაუგებ ახალ სითბოს,
უმიზეზოდ არ რბის წლები,
არ დაგიცდის, არ დაგინდობს.
სად ხარ, სად ხარ სიზმრის მგვანო,
სიჭაბუკევ გაქუსლულო,
დრომ კვლავ უნდა გადიდაროს,
ნატვრა უნდა აგვისრულოს...

***

ბორკილის შეხსნას ვეცადე,
მსურდა პატივი მეცა, და...
შენ ბოროტებად აღიქვი,
რაც რომ სიკეთე მეწადა.

ნინო ზაზაძე

შოთაობაზე თქმული

გაშლილ ტრამალებს, გაშლილ სივრცეს
მზედ მოჰფენია
დიდი რუსთველის მოკაშკაშე აზრთა გენია,
მისი ნათელი გვასულდგმულებს ყველა თაობას
და ეგებება მესხეთის ცა დღეს „შოთაობას“.
გამოუღია სტუმრისათვის მასპინძელს კარი,
ო, ამ მიწაზე ვისღა ახსოვს შური და გესლი,
დღითი-დღე უფრო მეტად ხარობს და
უფრო ჰყვავის
ქართულ მიწაში ჩათესილი სიკეთის თესლი.
გაუტანია ქვაშიც ფესვი მძლავრად სიყვარულს,
„მრავალჟამიერს“ ბანს აძლევენ მაღალი მთები,
წამომართულა წარსულიდან და სიამაყით
თავზე დაგვხარის საოცრება – ვარძია ჩვენი.
გაცოცხლებულა ქვაში თლილი მეფე-ქალაქი,
შორეთიდან კი მაინც ისმის ჩვენი გოდება,
„რაც იყო, იყო“ – აჩრდილები გვლოცავს
თამარის...
– „წავიდა ის დრო და ნურც ოდეს
განმეორდება“.
აქ არ იმღერო, ლექსი არ თქვა, არ შეიძლება,
აქ ყველა სიტყვა, ყველა ფიქრი ლექსად
გამოსდით
და საუკუნის მწვერვალებზე დგას უნებურად,
დიდი რუსთველი უკვდავქმნილი
„ვეფხისტყაოსნით“.

***

ჩემო გამზრდელო აკვანო
ვისმა მარჯვენამ გაგთალა,
ან ვისმა გულმა დაგლოცა,
ეგრეთმა ალალ-მართალმა.
მეგზურად მყოფნის მამულის
წარსული დაუვიწყარი,
ქართული პურის სურნელი
და მიწა დასაფიცარი.
ღამე მტრედისფრად ნათენი,
დედის ნამღერი „ნანაო“,
ქართული ლექსის სიწმინდე
და მისი „ანა-ბანაო“.

ჩემი მერცხლები

ვერ შეველიე მე ჩემს ბავშვობას,
მწვანე ფიჭვებით ატეხილ გორებს,
მე საქართველო დამრჩა სახსოვრად,
თქვენ რომ გაფრინდით და მიმატოვეთ...
ვერ შეველიე მე შენს სიყვარულს,
ხასხასა ველებს, სერებს დათოვლილს
და ამ სახსოვარს, ძვირფასზე ძვირფასს,
ვერ მივატოვებ თქვენგან დატოვილს.
მე საქართველო დამრჩა სახსოვრად,
თავის ანბანით და ველ-მინდვრებით,
ო, გევედრები, ჩემო მერცხლებო,
უცხო მხარეში ნუ გაფრინდებით.
ყველას სიყვარულს დაიტევს გული,
ყველას გვეყოფა ეს საქართველო,
ოღონდ დაბრუნდით, ოღონდ დაბრუნდით,
მშობლიურ ცის ქვეშ, ჩემო მერცხლებო.

სიბერე

ის მოდიოდა ჩუმად, ნელ-ნელა,
სვენებ-სვენებით, ხელჯოხით ხელში,
უკან მოსდევდა თეთრი პეპელა,
ფიფქს მუჭა-მუჭა ურევდა თმებში.
ის მოდიოდა წელში მოხრილი,
მაგრამ ამაყი, როგორც მყინვარი,
წლებს მოარღვევდა ფოლადის მკერდით,
ვით ქარიშხალი და ვით გრიგალი.
ის მოდიოდა, როგორც ნიავი,
არა სჩვეოდა დაღლა, ჩივილი
და თუმცა უკვე იყო გვიანი,
თვალებში მაინც კრთოდა ღიმილი.
ის მოდიოდა როგორც სიზმარი,
ლამაზ-ლამაზი ზღაპრებით ხელში,
იყო ამაყი და მყინვარივით
ჭაღარა ბლომად ერია თმებში.

ბექა ჯაყელი

ბექა ჯაყელი პოლიტიკურ ასპარეზზე XIII საუკუნის 60-იან წლებში გამოყავს მამას, სარგისს. მემატიანე წერს: **„ამათ ჟამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა, რომელნი მთავრობდეს სამცხეს“.**

მონღოლები დიდად აფასებდნენ სარგისს. ჟამთააღმწერელი წერს: **„არღუნ წარმოემართა სამცხეს ხილვად სარგის ჯაყელისა, რომელი დაბარებული იყო და სენთაგან სიბერისათა დახსნილ იყო ყოველთა ასოთა... მივიდა სამცხეს და დადგა აწყვერს. და ცნა სარგის მოსვლა არღუნისი და მივიდა მის წინაშე, იგი და ძე მისი ბექა. განკვირდა ორთავე მოსლვასა და სარგის წარიტანა ურდოს და ბექა დაუტევა სამცხეს“.**

მართალია ჯაყელებს ილხანებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და მათ მესხეთის მთავარს აწყურიც გადასცეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სარგისი და ბექა ყოველთვის უსიტყვოდ როდი ემორჩილებოდნენ მონღოლებს. **„მათ ჟამთა შინა საქმისა რასათვის განუდგეს თათართა სარგის და ძე მისი ბექა. რამეთუ სარგის დაბერებულ იყო სენითა ფერხის ტკივილისათა. და ბუღა ნოინის მიერ, თვალად წოდებულისა, ძმა არუხა წარმოიგზავნა მოოხრებად სამცხისა. და მოვიდა არუხაცა სპითა ოცი ათასითა. ხოლო ბექამან მიჰრიდა მთათა, რომელ არიან შუა გურიასა და აჭარასა. და მესხნი შევიდეს ციხეთა, ქვაბთა და ტყეთა. და მოვლო ლაშქარმან სამცხე და ვერარა ავნო. დაყვეს ოცი დღე და წარვიდეს და დარჩა ქვეყანა მშვიდობით“.**

როგორც წყაროების მონაცემებიდან ირკვევა, თავისი ცხოვრების ბოლო ეტაპზე სარგის ჯაყელი ათაბაგის თანამდებობასაც ფლობდა. მესხეთის მთავარი ათაბაგად **ნიკოლოზ კათოლიკოსის 1281-1282** წლების დაწერილში იწოდება – **„ქ. მე სარგის ათაბაგი მოწამე ვარ ამა დაწერილისაÁ“.** სარგისი ათაბაგობას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპიც ადასტურებს – **„პანაშვიდი სარგის ჯაყელისა ათაბაგისაÁ შეუნდვენ ღმერთმან. თეკლა გაუჩინა მისმან მეუღლემან“.** 1281 წელს გარდაიცვალა **სადუნ მანკაბერდელი.** ქართული ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ სადუნის გარდაცვალების შემდგომ **დემეტრე II-მ** ათაბაგობა **ტარსაიჭ ორბელს** მიანიჭა. როგორც ჩანს, 1281 წელს მეფემ ათაბაგობა **სარგის ჯაყელს** უბოძა. ეს ნაბიჯი დემეტრე II-მ, ალბათ, სარგისის შემორიგების მიზნით გადადგა. მესხეთის მთავარმა მიიღო ეს მაღალი თანამდებობა და ამით გარკვეულწილად თავი მეფის ვასალად აღიარა. მესხეთის მთავრის ათაბაგობა მცირე ხანს უნდა გაგრძელებულიყო, რადგან XIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისშივე სარგისი ბერად აღიკვეცა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამხდარიყო ათაბაგი ტარსაიჭ ორბელი. რატომ არ გადაეცა ათაბაგობა მემკვიდრეობით ბექა ჯაყელს, უცნობია. სამაგიეროდ, სარგისის მემკვიდრემ სხვა მაღალი თანამდებობა მიიღო – მანდატურთუხუცესობა.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, 1285 წელს სარგის I გარდაიცვალა. ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ სიცოცხლის ბოლოს სარგის I ბერად აღიკვეცა და საბას სახელი მიიღო. ეს მოსაზრება, თავდაპირველად, **ექვთიმე თაყაიშვილმა** გამოთქვა და შემდგომში მეცნიერთა ერთმა ნაწილმა გაიზიარა. ამ მხრივ საინტერესოა საფარის ტაძრის სამხრეთ კედელზე არსებული ფრესკა, რომელზეც ოთხი პირია გამოსახული. ერთ-ერთ გამოსახულებას თავზე აწერია – **„საბა ათაბაგი“.** ეს მართლაც სხვა ვერავინ იქნება თუ არა სარგის ჯაყელი. მეორე გამოსახულება ბექა მანდატურთუხუცესისაა და მას ხელში ეკლესიის მაკეტი უკავია. მესამე, ბექას უფროს ვაჟი, სარგისია, რომელიც ფრესკულ წარწერაში სამცხის სპასალარად იწოდება და მეოთხე ფიგურა მისი ძმა ყვარყვარე უნდა იყოს. სრულიად მისაღებია **პ.ზაქარაიას** მოსაზრება, რომ 70-იანი წლების ბოლოს სარგისმა ბექას გადასცა ქვეყნის მმართველობა, თავად კი ბერად აღიკვეცა. საინტერესოა, რომ ბექას უფროსი ძე მამის სიცოცხლეშივე უკვე სამცხის სპასალარის „Ãელს“ ფლობდა. ეს დასტურდება ბექას დაწერილიდანაც კახა თორელისადმი – **„მე ბექამან მანდატურთუხუცესმან, ჩემმან ცოლმან შვილთა ჩემთა: სამცხის სპასალარმან სარგის, ყუარყუარე და შალვა“.** 1266 წლამდე სამცხის სპასალარის თანამდებობას ჯაყელთა საგვარეულოს უფროსი ატარებდა. XIII საუკუნის ბოლოს ვითარება შეცვლილია. რადგან საგვარეულოს მეთაური უფრო დიდ „Ãელს“ ფლობს (კერძოდ მანდატურტუხუცესობას), ამიტომ სამცხის სპასალარობა მისი მემკვიდრის ხელში გადავიდა.

ბექა ჯაყელი ენერგიული მმართველი და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. **„იყო ესე ბექა ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, თმითა და თვალითა გრემან და შვენიერ, ბეჭითა და მკერდითა სრულ, ძალითა ძლიერ, ომსა შინა მხნედ მბრძოლი, ცხენსა ზედა მხნე და მოისარი ნადირთა ხელოვანი, გონებითა ფრთხილ, მაშენებელი ქვეყანათა, ეკლესიათა და მონასტერთა და ღმრთისმოსავთა კაცთა პატივისმცემელ, მლოცავი, რომელი არა დააკლდის ცისკრის ლოცვათა, სამხრად და მწუხრად, ვითარ ტვიბიკონი მოსცემდის წესსა ლოცვისასა. ამისთვის პატივ სცა ღმერთმან და მეუღლეცა შემსგავსებული მოანიჭა, ლოცვისა, მარხვისა და გლახაკთ მოწყალებისა, მონასტერთა და ხატთა პატივის მოყვარე, ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი. მაშინ ბექამან დაიპყრა ქვეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისხევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტაანი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი-დღე განდიდნებოდეს. და მსახურებდეს ყაენსა აბაღას და მორჩილებდეს მეფესა დიმიტრის“.** როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, ჟამთააღმწერელი ბექასთან ერთად მის მეუღლესაც აქებს. იმავე ჟამთააღმწერელის მიხედვით, ბექას მეუღლეს **ვახახი** ერქვა. **ი. სიხარულიძე** ანიჩისხატის წარწერაზე – **„სულსა პატრონისა მანდატურთუხუცესისა ბექასა განუსვენე ღმერთმან... სულსა მარინესი... ძენი მათნი სარგის, ყუარყუარე და შლვა ადიდენ ღმერთმან“** – დაყრდნობით ვარაუდობდა, რომ ბექას ორი ცოლი ჰყავდა. **„ბექას სხვა ცოლზე ჟამთააღმწერელიც მიუთითებს, როცა წერს, ვახახი საყვარელი მეუღლე იყოო“.** მკვლევარი პირველ ცოლად მარინეს მიიჩნევს, თუმცა თავადვე შენიშნავს, რომ ჟამთააღმწერლის ცნობებიდან გამოდინარე, ბექას შვილების დედა ვახახი გამოდისო. ჩვენი აზრით, ბექას ერთი ცოლი ჰყავდა, რომლის ნათლობის სახელი მარინე იყო, მაგრამ მას მეორე სახელიც ჰქონია – ვახახი და მემატიანე მას ასე მოიხსენიებს. ხატის წარწერაში კი ის ნათლობის სახელით მოიხსენიება.

ბექას სამფლობელო, იმდროინდელი საქართველოს თითქმის ერთ მესამედს მოიცავდა. საინტერესოა მემატიანის სიტყვები – **„და მორჩილებდეს მეფესა დიმიტრის“.** შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბექას დროს, დამოკიდებულება სამეფო კარსა და მესხეთის მთავრებს შორის შეიცვალა. თუ სარგისი ქართველ მეფეებს არ ემორჩილებოდა, ბექა გარკვეულ ვასალურ ურთიერთობაში იმყოფება დემეტრე II-სთან. შესაძლოა ამ დამოკიდებულების გამოხატულებად უნდა ჩავთვალოთ ბექას მიერ მანდატურთუხუცესის მაღალი თანმდებობის ფლობა. ბაგრატიონებსა და ჯაყელებს შორის ურთიერთობის შეცვლაში, რა თქმა უნდა, თავისი როლი იმანაც ითამაშა, რომ ბექა მანდატურთუხუცესის ასული ნათელა დემეტრე II-ის მეუღლე იყო.

როგორც ცნობილია, ბექა მანდატურთუხუცესის ასული ცოლად ჰყავდა ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი II-ს. ი. სიხარულიძე თვლიდა, რომ ალექსის ცოლი დემეტრე თავდადებულის ქვრივი იყო, რომელიც დემეტრეს სიკვდილით დასჯის შემდეგ ჯერ სამცხეში დაბრუნდა, ხოლო შემდეგ მეორედ გათხოვდა. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და ვთვლით, რომ ბექა ჯაყელს ორი ასული ყავდა. ერთი დემეტრე II თავდადებულის მეუღლე – ნათელა და მეორე, ალექსი II-ის მეუღლე, რომლის სახელიც ისტორიამ არ შემოგვინახა.

როდესაც აბაღა ყაენმა ეგვიპტეში გალაშქრება გადაწყვიტა, მან თავისთან ბექაც დაიბარა. მონღოლებთან მომხდარი კონფლიქტის მერე, მესხეთის მმართველს ყაენთან მისვლა შეეშინდა და მისგან უვნებლობის ფიცი ითხოვა. ელჩებს კი განუცხადა, რომ ყველაფერი მისი მტრების ინტრიგების ბრალი იყო. ყაენმა ბექა შეირიგა და მესხეთის მთავარი თავისი ლაშქრითურთ მასთან გამოცხადდა. ქართველთა და მონღოლთა გაერთიანებული ლაშქარი **„წარვიდა მისრეთს. და ვლეს მრავალი დღე და მიიწივნეს ერთსა ქალაქსა, რომელსა ერქვა დარბუზაკი. გამოვიდეს მოქალაქენი კარით და იქმნა ომი, სადაც ბექამან და მისთა მყოლთა მესხთა ძლიერად იღვაწეს, უფროს სხვათა თათართა და ქართველთა“.** ყაენმა სათანადოდ დააფასა ბექასა და მისი ლაშქრის თავდადება და **„პატივი დიდი უყო ბექასა შესამოსელთა და ცხენთა საკვირველთა მინიჭებითა, ეგრეთვე დიდებულთა და აზნაურთა ბექასათა“.**

1289 წელს, დემეტრე II-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ტახტზე დავით ნარინის ძე, ვახტანგ II ავიდა. ჟამთააღმწერლის მიხედვით, მან „დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსიით დარუბანდამდე, თვინიერ ჯაყელ-ციხისჯვარელისა ბექასი“. ეს ცნობა გარკვეულ უზუსტობას შეიცავს. დასავლეთ საქართველოში **დავით ნარინი** მეფობდა და ვახტანგის სამეფოში ეს მხარე ვერ შევიდოდა. თუმცა მესხეთთან დაკავშირებით მემატიანე ზუსტ ინფორმაციას უნდა გვაწვდიდეს. ბექასათვის ვახტანგ II-ის გამეფება მაინცდამაინც მისაღები არ უნდა ყოფილიყო. ასევე სრულიად ბუნებრივია, რომ მან თავისი შვილიშვილი – გიორგი დემეტრეს ძე თავისთან წაიყვანა და სამცხეში აღზარდა. **გიორგი V ბრწყინვალე** საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მეფე იყო და ამაში, ჩვენი აზრით, მისი აღმზრდელის ბექა ჯაყელის დიდი დამსახურებაც იყო. ამას ჟამთააღმწერელიც აღიარებდა, როდესაც წერდა – **„გიორგი... წარიყვანა პაპამან მისმან ბექამან და აღზარდა საკვირველი და უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა“.**

ბექა ჯაყელი უაღრესად ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. რა თქმა უნდა მას თავისი ამბიციები და გარკვეული გეგმებიც გააჩნდა. დემეტრე II-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ ქვეყანაში ვითარება, რომ კიდევ უფრო დაიძაბა და აირია, ამას ბექაც კარგად ხედავდა. ეგებ მან უკვე ამ დროს გადაწყვიტა თავისი შვილიშვილის – გიორგის სამეფო ტახტზე აყვანა. შესაძლოა ამით იყოს განპირობებული, რომ ბექა **დავით VIII**-ეს არ ეახლა და მხოლოდ თავისი უფროსი ძე – სარგისი აახლა. **„მოუწოდეს სამცხით ბექასა და მან არა ინება მოსვლა, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო, თვით არღარა წარვიდეს არცა ყაენს წინაშე და არცა მეფესა თანა. არამედ წარმოუვლინა ძე თვისი პირმშო, სამცხის სპასალარი სარგის და ყოველი ნამარხევი, რომელ აქვნდა მეფის დიმიტრისგან შევედრებული და სარტყელიცა იგი დიდ ფასისა. მოვიდა სარგის და მოიღო ყოველივე დაუკლებლად მეფისა დავითის წინაშე“.** ნიშანდობლივია, რომ ბექა არა მარტო დავით VIII-ს არ ეახლა, არამედ მონღოლებთანაც არ გამოცხადდა. ეგებ ამით მესხეთის მთავარმა მონღოლებს მიანიშნა, რომ მათი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყო. თუმცა **ი. ჯავახიშვილის** აზრით, **„საეჭვოა, რომ თუ ერანის ილხანი დაიბარებდა, ბექას გაებედა და არ წასულიყო, ასეთი ურჩობა რომც გაებედა, ამას მონღოლთა ყაენები, უეჭველია, არ შეარჩენდნენ“.** ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ბექას არ ჰქონდა ბრძანება, პირდაპირ ყაენთან გამოცხადებულიყო. მემატიანე წერს **„მოუწოდეს სამცხით ბექასა“,** დავით VIII-სთან და მის თანმხლებ მონღოლ მოხელეებთან და არა უშუალოდ ყაენთან. მოწოდებაზე, პირადად მე მეახლეო, ბექა უარს არ იტყოდა. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ბექას პოლიტიკური კურსი მონღოლებთან დაპირისპირებას არ გულისხმობდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბექასა და დემეტრეს შორის გარკვეული ვასალური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო. იმის გათვალისწინებით, რომ დემეტრე II-მ, ურდოში წასვლის წინ, თავისი საგანძური ბექას ჩააბარა, შეიძლება ვივარაუდოთ – მათ შორის ურთიერთობა გაცილებით უფრო თბილი და ახლობლური უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვეულებრივ ვასალსა და სუზერენს შორის.

ქართველი მეფე-მთავრები ხშირად მონღოლთა შორის მიმდინარე შინაომებში იყვნენ ჩართული. როდესაც თუქალი ყაზანთან ბრძოლაში დამარცხდა, მან თავი ბექა ჯაყელთან შეაფარა, მისი ძე კი დავით VIII-სთან იმალებოდა. ყაზანმა **„წარმოუვლინა მოციქული მეფესა და ბექასა, რათა მისცენ თუქალი და შვილი მისი, ერთგზის და ორგზის. და არა მისცეს, არამედ იურვეს, რათა შეუნდონ. და მოსცა პირი და ბეჭედი უვნებელობისა. და მისცეს თუქალი“.**

1298 წელს დავით VIII მონღოლებს აუჯანყდა. მისგან განსხვავებით, ბექა ყაზან ყაენთან მშვიდობიან ურთიერთობას აგრძელებდა, ხარკს აძლევდა და ჯარით ეხმარებოდა.

1299 წელს მონღოლებმა ბექას **„სთხოვეს ყრმა გიორგი, რათა მოსცეს და მეფე ყონ ქართლსა დავითის წილ, ძმისა მისისა. რომელი აღასრულა და მისცა და თანა წარატანა ლაშქარი დიდი“.** მონღოლები, არაგვის ხეობაში გამაგრებული დავით VIII-ის წინააღმდეგ ქართველთა ჯარსაც იყენებდნენ, რომელთა შორის ბექას მიერ წარმოგზავნილი მეომრებიც იყვნენ. მონღოლთა გათვლამ არ გაამართლა – მცირეწლოვანმა გიორგი V-ემ დავით VIII-ს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მონღოლებმა მეფედ **ვახტანგ III** დასვეს. ურდოდან თბილისში მობრუნებულ ვახტანგს სხვებთან ერთად ბექას ვაჟი, სარგისიც მიემხრო. სარგისი ასეთ ნაბიჯს, ალბათ, მამის უკითხავად არ გადადგამდა.

XIV საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში უმძიმესი ეკონომიკური ვითარება იყო. მოსახლეობა შიმშილობდა და თავის გადასარჩენად მესხეთში მიდიოდა, სადაც შედარებით უკეთესი ვითარება იყო. **„უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქვეყანად ბექასსა, სადაც ... იპოვებოდა პური სასყიდლად. ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა შინა იყო მეუღლე ბექასი ვახახი, რომელი იყო ყოვლითურთ შემკობილი“.**

ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობით, მცირე აზიაში მყოფმა თურქულმა ტომებმა ისარგებლეს და **აზატ მოსეს** მეთაურობით, მათი 60 ათასიანი ჯარი საქართველოსკენ დაიძრა. ტაოს ერისთავმა **თაყა ფანასკერტელმა** ბექა ჯაყელს სთხოვა დახმარება. ბექამ მხედრობა შეკრიბა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო, სიტყვა ჩემი! დიდმან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა. მიერ ჟამითგან აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქნი და აწ ცოდვათა ჩვენთათვის კვალად აღიძრნეს მძვინვარედ და მოაოხრეს ტაო და ურიცხვი სული ტყვე ყვეს და მოსწყვიდეს პირითა მახვილისათა, ეკლესიანი დასცეს და სიწმინდენი შეაგინეს. და კუალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტეანეთა და მოოხრებად, ვინაითგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კვალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა. აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთნებანო! შევკრბეთ ყოვლითა ძალითა ჩვენითა და მივმართოთ თურქთა და არა მივსცეთ თავნი და შვილნი ჩვენნი და არა განგვწირნეს ღმერთმან მოსავნი მისნი და აღმსარებელნი მისნი და მოგვცეს ძლევა მათ ზედა, ვითარცა მისცა მამათა ჩვენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩვენი სჯულისა შეუგინებლობისათვის და ძმათა ჩვენთათვის. უეჭველად ღმერთი მოგვანიჭებს ცხოვრებასა“.**

ი. ჯავახიშვილი წერდა, **„ამ საუცხოვო პოლიტიკურ მიმართვაში თავითგან ბოლომდის ყველაფერი მართალი იყო, მაგრამ თვით სხვების ასე ბრძნულად დამრიგებელსაცა და ყველა მის მსმენელებსაც კარგად მოეხსენებოდათ, რომ საქართველოს მთავართაგან განკერძოების პირველი მაგალითი სწორედ მის მამას ჰქონდა მიცემული და თვითონაც პირადად თავისი მამის შეცდომის გამოსასწორებლად არაფერი გაუკეთებია. ეხლა, როდესაც მტრის შემოსევისაგან განსაცდელი მის სამფლობელოსაც დაადგა, საქართველოს მთლიანობის უაღრესი მნიშვნელობა მისთვის ცხადი გახდა, მაგრამ დაგვიანებით. თვით ეს შეგნებაც მისი ნებისყოფის მხოლოდ დროებითი მფლობელი იყო და ამიტომაც საქართველოს მაშინდელი სავალალო პოლიტიკური მდგომარეობისთვის ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა. ბექა მანდატურთუხუცესს თავისი სიტყვის ზემომოყვანილი პოლიტიკური საბუთიანობა, ეტყობა, უფრო მჭერმეტყველებისათვის გამოყენებულ საშუალებად ჰქონდა მომარჯვებული, ვიდრე მისი მართლაც ღრმა და გულწრფელი ეროვნული შეგნება იყო“.** სარგის ჯაყელი ნამდვილად არ იყო პირველი ფეოდალი, რომელმაც განკერძოების მაგალითი მისცა სხვებს. ამ მხრივ თუნდაც თორღვა პანკელი შეიძლება გავიხსენოთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველასაგან მიტოვებულ დავით ულუს მხოლოდ სარგისი უწევდა ერთგულ სამსახურს. შესაძლოა ვთქვათ, მიუხედავად ყველაფრისა, სარგისი მაინც მეფის ერთგული უნდა დარჩენილიყო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სარგის ჯაყელი ჩვეულებრივი ადამიანი იყო და, როგორც ყველა ადამიანს, მასაც თავისი თავმოყვარეობა ჰქონდა, ალბათ, ამბიციებიც. საერთოდ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ფეოდალებს, რომელთა წინაპრების სისხლითაც შენდებოდა საქართველო (მარტო ბაგრატიონები ვერაფერს გააკეთებდნენ), გარკვეული ამბიციები ჰქონდათ. სამწუხაროდ, იყო შემთხვევები და არც თუ მცირე, როდესაც ამ ამბიციებს საქართველო ეწირებოდა და ეს ძალიან, ძალიან ცუდი იყო. უბრალოდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეოდალებიც ჩვეულებრივი მოკვდავები

გაგრძელება მე-6 გვ. ▶

შთაგონებული

1990 წელს დავამთავრე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ვმუშაობ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად რუსთავის სკოლა-კომპლექსში – „ცისარტყელა“.

ბავშვობა ჩემს მესხეთში გავატარე.

„არარაისგან არარაი წარმოიქმნების, არარაისგან არც სამყარო წარმოქმნილა“, – გვაუწყებს „იდეალისტური“ ბიბლია და ამ რამდენადმე „მატერიალისტური“ განმარტებით ნათელყოფს იმ ჭეშმარიტებასაც, რომ, თავისთავად, უნიადაგოდ, უმიზეზოდ არაფერი გაჩენილა ქვეყანაზე – თვით ქვეყნიერების ჩათვლით.

ჩვენ ყველანი წარსულიდან მოვდივართ.

ბავშვის გაფართოებული თვალები დღემდე აუხსნელი, უპასუხოდ დარჩენილი კითხვები, დედა-შვილის ტრაგიკული ისტორია, სიბრალული, გულგრილობა, შეცოდება... ყველაფერი – სიყვარულის გარდა!

მერე იყო სიკეთეც, გამორჩეული ყურადღებაც, მზრუნველობაც და, ბოლოს – სიყვარულიც.

მიმძიმს უკან მიხედვა, მაგრამ, ეს, ალბათ, შეუძლებელი და გარდაუვალია. ვუცქერი დედის ერთადერთ (ძლივს მოძიებულ), ფოტოსურათს და ვხვდები, თუ საიდან იღებს სათავეს სილამაზე. დედის თვალებიდან იღვრება ბუნებრივი მშვენიერება, რომელიც ჩემს სულსა და ხელოვნებაში ნაწილდება.

ახლა საბოლოოდ ვარ დარწმუნებული, რომ – არა „ის დედა“, „ის ბავშვი“, ის... რა იქნებოდა დღევანდელი დღე, დღევანდელი „უსასრულობის სიმფონია“. მართლაც – „არაისაგან არარაი წარმოიქმნების“...

ყველაფერი ერთი ჩეულებრივი „არაჩვეულებრივი“ დღით – 1990 წლის 11 აპრილით დაიწყო. მაშინ უკვე რამდენიმე წლის შექმნილი მზრუნველი ოჯახის გარემოცვაში ვიყავი. ინსტიტუტის დამთავრებისას ორიოდე თვეღა უკლდა, მეგობრებმა დაბადების დღეზე მომართვეს თაიგული, რომელშიც იაც ერია, გამხმარი ყვავილები ვერ გადავყარე შენარჩუნებული ხასხასა ფერის გამო და... შეიქმნა პირველი ნამუშევარი – „იების კომპოზიცია“. მას შემდეგ დავინტერესდი ჰერბარიუმით, გაჩნდა „ტყის იდილია“, „თეთრი ფეიერვერკი“, „გვირილები“, „ადამი და ევა სამოთხეში“ (მასში რეპტილიაც კი არის გამოყენებული). „ბალერინა“, „გედის ტბიდან“. უფრო და უფრო რთულდებოდა კომპოზიცია, სიუჟეტი. ამას მოჰყვა „ბუმბულთა ფერწერა“, „აღმაფრენა“, „თეთრი ფილოსოფოსი“, „აბესალომ და ეთერი“, „პლატონური სიყვარული“, „დრამატული სიყვარული“, „რომანტიული მგალობელი ფლამინგო“...

მუშაობის პროცესში და შემდეგაც ვგრძნობდი, რომ შეუძლებელი იყო ჩარჩოში ჩასმული(!) ფრინველები მხოლოდ დეკორაციად და „კედლის სამშვენისას“ დარჩენილიყვნენ. ვგრძნობდი მოლოდინს რაღაც სხვისას, რომელსაც სახელს ვერ ვარქმევდი.

ჩემი ჩიტი – „თეთრი ფილოსოფოსი“ – მარტოსულია. ის განდეგილიცაა, სისპეტაკეც, სიყვარულიც, სიამაყეც, სიბრძნეც – ან იქნებ განვლილი ცხოვრებისგან წაღებული მხრებდამძიმებული სიჭარმაგეა და მის წინ, უნებლიედ, დავარდნილი ბუმბული კი ქარტეხილებისაგან წაღებული ჩვენი ღირსებები. ცხოვრება თავისი გზით მიდის, ჩვენ უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ და შეუმჩნევლად, თვალსა და ხელს შუა ვკარგავთ ჩვენთვის ღირებულს, ფასეულს...

ეს თეთრი ჩიტი შემაგრძნობინებს კოსმიური, მიღმური სამყაროს უსასრულო იდუმალებას... და განა მარტო ის, ყველაფერი, რაც მაშინ შევქმენი, მისტიურად მაკავშირებს სამყაროსთან. რატომღაც მგონია, ერთ მშვენიერ დღეს ეს რაღაცის მომლოდინე, დაქანცული ფრინველები დაამსხვრევენ ჩარჩოებს, შეკრავენ კამარას, განთავისუფლდებიან ფიზიკური სხეულებისაგან და მიღმური სამყაროს სიფარფატედ ქცეული მათი სულები უსასრულობად გარდაიქმნებიან.

ჩემი პირველი გამოფენა გაიმართა 1995 წელს რუსთავის საქალაქო ფესტივალზე – „იგრიკა - 95“. ფრთები შემასხა დამთვალიერებელთა პირველმა შთაბეჭდილებებმა და შეფასებებმა.

ამავე წლის ივნისში პერსონალური გამოფენები მქონდა რუსთავში – „ოპიზარში“, დეკემბერში – მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, 1996 წლის მარტში – თბილისში, ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ ცენტრში, ეროვნულ გალერეაში ვმონაწილეობდი საქართველოს მხატვართა გაერთიანება „ნიკოს“ მიერ მოწყობილ რუსთაველ მხატვართა რეტროსპექტულ გამოფენაში, ოქტომბერში – ისევ რუსთავში (რესპუბლიკური თეატრალური ფესტივალი „ოქროს ნიღაბი“, 1997 წლის აპრილში – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში და, შემდეგ – ეროვნულ გალერიაში (საზაფხულო გამოფენა).

... ჩვენს ირგვლივ ობობები ართავენ თავიანთ გასაოცარ აბლაბუდას და ძველებურად გულჩათხრობილები შეუმჩნეველნი, მდუმარენი და, ბევრის აზრით, შეუხედავებიც არიან. საინტერესოა, ისინი გულგრილად იყოფენ ადგილს ცის ქვეშ, ჩვენთან, თუ ადამიანსა და ობობას ჰქონდათ და აქვთ საერთო? ობობას ქსელს საოცარი თვისებები აქვს. ის ხალხურ მედიცინაში ჭრილობების სალბუნად ითვლებოდა და ამ მიზნით დღესაც გამოიყენება ინგლისსა და იტალიაში. შექსპირის „ზაფხულის ღამის ზღაპარს“ გმირი ხოტბას ასხამს ობობას სამკურნალო აბლაბუდისათვის.

მე და ობობა

ია მღებრიშვილი



რ ო გ ო რ ც ჩანს, ადამიანები თანდათან ვეცნობით საკუთარ თავს...

„ეძიებდე და ჰპოვებდე“... და იაპონური ხელოვნების დევიზის მსგავსად – „ნუკი გამოიგონებ, არამედ ჰპოვე და აღმოაჩინე“! რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ჩემი თავი ობობას ქსელშიც ვპოვე!

უეჭველია, მე ობობა შევიყვარე უფაქიზესი აბრეშუმის მანდილის მსგავსი, ნაზი, მოხდენილი და მჭიდრო აჟურული ნაქსოვი აბლაბუდის – მართლაც რომ საიუვილირო ნაკეთობა – ქმნილების გამო!

„ევრიკა!“ – აღმოხდა მაშინ, „მშვენიერების დატყვევება“ ვუწოდე ობობას წყალობით დაბადებულ ჩემს პირველ ქმნილებას. მას შემდეგ აბლაბუდა ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

დავფიქრდი. გაუძლებდა თუ არა დროს ბუნების ეს კომპონენტი ისევე, როგორც გამოსახვის სხვა ტრადიციული მასალა? ხომ არ „გაქრებოდნენ“ ჩარჩოში ჩასმული გამოსახულებები თავის მასალიანად? ასე დავიწყე შესწავლა თავისი ცხოვრებითა და ზნე-ჩვეულებებით წარმოუდგენლად საინტერესო ამ არსებისა.

ძველ წიგნებში ობობას შესახებ ბევრ უცნაურ, გაუგებარ ამბავს ნავაწყდებით. შემდგომში მეცნიერთა კვლევის საგნად ქცეული ობობა ხმელეთის პირველი ხიზანია. დღეს მისი 30 ათასი სახეობა არსებობს. ადამიანის ხელით შექმნილი ობობას უძველესი პორტრეტი ესპანეთის ერთ-ერთი გამოქვაბულის კედელს ამშვენებს. პორტრეტი ნატურალისტი უფროა, ვიდრე რიტუალური. მოგვიანებით ქვის ხანის სახვით ხელოვნებაში ობობას სიმბოლური ფიგურა გამოხატავდა ქალს (ჩემი ნამუშევრების ძირითადი ფიგურაც ქალია).

მე-7 საუკუნის მედიკოსები ობობას ციების საწინააღმდეგო საშუალებად იყენებდნენ. ქვისგან გამოთლილი თუ ქვაზე ამოკვეთილი ობობები სწრაფად უსაღდებოდათ ოქრომჭედლებსა და აფთიაქარებს დიადემაზე, ყელსაბამებზე, უბრალო თუ ძვირფას ქვებზე ობობა იყო გამოსახული. სამკურნალო თვისებებისადმი უცნაურმა რწმენამ იქამდე მიიყვანა ხალხი, რომ მათი აბებივით ყლაპვაც დაიწყეს. ობობას აბები მე-17 საუკუნის სიახლე არ გახლავთ, ეს ასეული წლების მანძილზე გამოცდილი მედიკამენტია. ობობა ცნობილია აგრეთ- ვე, როგორც წინასწარმეტყველი, „პროგნოზის ბიურო“. ამბობენ, მას წარმატება და კარგი ამბავი მოაქვსო. ბედზე ხშირად დანდობილი ადამიანები საოცარი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობიან მათ, თილისმასავით ატარებენ კოლოფებში ან მედალიონში ჩასმულებს. ცნობილია, რომ მონტეკარლოში პოკერის ერთი აზარტული მოთამაშე თავისი მეგობარი ობობასაგან ღებულობდა კვალიფიკაციურ რჩევებს. ობობათა მკვლევარმა ბრისტოუმ საკუთარ თავზე გამოსცადა გამდიდრების ეს „მეთოდი“ – მან პოკერის თამაშისას ხალიჩაზე მჯდომი ობობა შეუმჩნევლად გადაყლაპა და ამით შეავსო თავისი ბიუჯეტი. ცნობილმა ნოველისტმა „დეილი ექსპრესში“ განაცხადა, რომ კარგ ჰონორარს მაშინ იღებს, როდესაც შთაგონებისთვის ობობას ყლაპავს. ჩვენ არ ვიცით მისი „წარმატების საიდუმლოება“. ერთი კი ცხადია – ობობას წარმატება მოაქვს: ადამიანმა იგი უარყო სილამაზისა და სისუფთავის გადაჭარბებული გრძნობების გამო, მას კი ცხოვრებაც არ შეუძლია ხალხის გარეშე და, საეროდ, ობობას მცირე ზიანი და დიდი სარგებლობა მოაქვს. როგორც ირწმუნებიან, მათ არაერთხელ უხსნიათ ადამიანები განსაცდელისაგან, ობობამ აბლაბუდით იმ გამოქვაბულის შესასვლელი ამოქოლა, სადა ქრისტემ ჰეროდესაგან დასაღწევად შეაფარა თავი. ეს თქმულება გავრცელებული იყო ბულგარეთსა და ინგლისში. ობობა გაკვირვებას იწვევს თავისი ორიგინალური და უნიკალური აბლაბუდათი. მან მსოფლიო აბრეშუმის ბრწყინვალებით გააოცა. ამბობენ, რომ მადაგასკარელი ქალები ტყეში აგროვებენ ობობებს, მათგან ამოქაჩავენ ძაფს და ისევ ფრთხილად მიჰყავთ უკან. ოქროსფერი ძაფებისაგან ისეთ ლამაზ ლენტებს ქსოვენ, რომ უცხოელები ვერ ივიწყენენ ამ მშვენიერებას.

ვუბრუნდები ჩემს ქალთა „სახეებს“, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა სახის ობობას ქსელის „ფაქტურით“. საინტერესოა ბუხრის ქსელი, რომლითაც შეიქმნა „ბანოვანი და მუზა“, (მას, რატომღაც, დეგას „ბალერინას“ ადარებენ), წისქვილის ქსელი (ორფეოსი და ევრიდიკე“), სარდაფის, ოთახის და ა.შ. წლების მანძილზე ბუნებრივად დამტვერილი მტკიცე ქსელებისაგან შესრულებული ნახატებისა.

ქსელის „მოპოვება“ დაკავშირებულია უცნაურ და კურიოზულ შემთხვევებთან. საერთოდ, ობობას შემოქმედებით მოხიბლულს, ხშირად მავიწყდება გარემო და გარშემომყოფნი. მის ოსტატობას ჩემში შეუძლია გამოიწვიოს ის ემოცია, ესთეტიკური სიამოვნების შეგრძნება, რომელიც განიცდება მხატვრული შედევრის პირისპირ.

ერთი შეხედვით თითქოს ადვილად მისაწვდომია ჩემი სამუშაო მასალა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. მახსენდება ქსელის „მოპოვების“ ერთ-ერთი „ეპიზოდი“. მე და ჩემი უფროსი ვაჟიშვილი, 11 წლის ჯაბა, დიდხანს ვეძებდით ჩემთვის სასურველ ქსელებს. ერთ ბნელ კუთხეში „ზღაპრულ“ ქსელებს მივაგენით, ალბათ, არქიმედს და ნიუტონს არ გახარებიათ ისე თავიანთი აღმოჩენები. ეს გრძნობა შეიძლება შევადარო ოქროსმაძიებლის თავბრუდამხვევ, დიდი ხნის მომქანცველი ძიების შემდეგ მიგნებული განძით გამოწვეულ განცდებს.

პარადოქსი: ობობა ჩემთვის ძიების, სიყვარულის შთაგონების საგნად იქცა: „მე და ობობა“ მინდა იქცეს „ჩვენ და ობობად“! დაიცავით ობობები! ან იქნებ ჩვენი ესთეტიკური გრძნობებისთვის სულ სხვა ფორმებია საჭირო? მაგრამ ინტელექტი ყოველთვის იყო ადამიანის უპირველესი იარაღი და ამიტომ ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს: ობობა ადამიანის მეგობარია! იგი ბუნების იშვიათი, მრავალფეროვანი, ორიგინალური მხატვარი და შემოქმედია.

მე არ ვარ მხატვარი, მხატვარი ობობაა! ბუნებამ იგი გამოარჩია თავისი ორიგინალურობით და თვითონვე ქმნის მასში „ალქიმიას“ – ობობა სხეულის წვენებს აბლაბუდად აქცევს. შემოქმედმა მას მიანიჭა უნარი გასაოცარი ინჟინრული კონსტრუქციისა, ანუ უნაზესი მაქმანის ქსელის შექმნისა. ზოგი ქსელის რთული არქიტექტურული კონსტრუქცია საგამოფენო პავილიონის მოდერნულ გადახურვას მოგვაგონებს. აბლაბუდის სამყაროში ერთმანეთისაგან განსხვავებული ქსელის მოდელები და ძაფების ფაქტურაა (ამერიკაში არის ობობის სახეობა, რომლის აბლაბუდაშიც სამი ფერის – წითელი, შავი და ყვითელი ძაფია. რამდენჯერ მიოცნებია ასეთ ქსელზე). ობობას შეუძლია თავისი ქსელებით ხელოვნების ნიმუშად წარმოგვიდგინოს უცნაურად ჩახლართული ნაქსოვი აჟურული მაქმანი, ნაზი სალეჩაქე, თავისუფალი იმპროვიზაციებით შესრულებული აბრეშუმის „გიპიური“. მას ჩარჩო აღარ სჭირდება! იგი ბუნების შედევრია!

ვფიქრობ, ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ!

დაბოლოს: ისევე, როგორც ობობას, ჩემს სათქმელს „უსასრულობის სიმფონიაში“ მივაგენი. ვერ ავხსენი, რატომ დავარქვი ამ სერიას ასეთი სათაური. ალბათ, კანონზომიერი იყო მისი შექმნა და, შესაბამისად, მისი სახელიც. სერიაში შედის „მირაჟი“. „ვედრება“, „აღმაფრენა“, „კათარზისი“, „დროის ხაზი“, ბედისწერა“, „მარადისობა“, მიახლოება“, მე არაფერი ვიცი... მე გხედავთ თქვენ, ყველას ერთად... ჩვენ ყველანი ერთად ვართ! ბოლომდე გამოუცნობი, უსაზღვრო, იდუმალი და უსასრულოა ადამიანის სული, გონი და, საერთოდ, მთელი სამყარო...

სიკვდილი მინდა – ლამაზი სიკვდილი...

ჩემი სული დამძიმებულია გაუსაძლისი ფიქრით... საშველი არ ჩანს... თითქოს სამყარო დახშულია... სული ბორგავს, ეხეთქება კედლებს – მის გარღვევას ლამობს.

არარსებულია სურვილად ქცეული ბედისწერა, რომელიც უსასრულობისაკენ მიმაქანებს, სახელს ვერ ვარქმევ ჩემს მდგომარეობას.

აქ ვერ ვპოულობ ადგილს, მინდა ჩუმად, ფეხაკრეფით გავეცალო აქაურობას და არ ვამძიმებდე მიწას ადამისეული თანდაყოლილი ცოდვებით.

მინდა, რომ აღარ ვიყო! მინდა სული გათავისუფლდეს სხეულისაგან, სუფთა, გამჭვირვალე სამოსელით ეფემერასავით გაუჩინარდეს და მარადისობას შეუერთდეს.

მინდა წავიდე ხელოვნების უსასრულობაში... მინდა ჰიმნი ვუძღვნა ხელოვნების მარადიულობას – სიყვარულის, მშვენიერებისა და უკვდავების სიმფონიას!..

2001 წელი

საერო ენა და სათემო კილო

(თემის გაგრძელება. პირველი წერილი იხ. წინა ნომერში)

რადგან ბ-ნ პ.მირიანაშვილმა უარ-ჰყო ენის საკუთარი ისტორია და აღიარა, რომ ენის აღორძინება, განვითარება დამოკიდებულია ხალხის ერთობაზედაო, ამიტომ საჭირო იყო ავტორს აეხსნა – როდის და საქართველოს რომელს თემში დაიბადა საზოგადო, სამწერლო ენა. ახსნა, განმარტა კიდეც: რომელ თემშიაც პირველად იწყება მოქალაქეობრივი ცხოვრება, იგივე თემი ჰქმნის საზოგადო, სამწერლო ენასაო. „ჩვენშიაც ეგრე ყოფილა. ზემო ქართლიდამ ენაც გამთავრდა საქართველოს დანარჩენ თემთათვისო“, ბრძანებს ახალგაზრდა ფილოლოგი. თუმცა სიტყვა „ზემო-ქართლი“ ახალი სიტყვაა და ჩვენს ძველს ისტორიაში, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, ვგონებ არ იხმარება, მაგრამ მაინც პ. მირიანაშვილი ამბობს, რომ ზემო-ქართლი მესხეთსაც შეიცავდაო და სწორედ ამ მესხეთის კილომ დაისაკუთრა მოქალაქეობა მწერლობაშიო. ავტორის სიტყვებიდგან გამოდის, რომ მესხეთმა და მხოლოდ მესხეთმა მიანიჭა სრულიად საქართველოს სალიტერატურო ენა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ახალგაზრდა ფილოლოგი სრულებით ვერაფრით ამტკიცებს თავის აზრს. ის გარემოება, რომ მესხეთს უფრო მჭიდრო და ახლო დამოკიდებულება, კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან, ამ ბიზანტიის განათლების სხივი უფრო ძლიერ ეფინებოდა მესხეთს, ვიდრე საქართველოს სხვა თემებს, სრულებით არაფერს არა ხსნის. სულ პირველად ქართლში ჩაისახა და მერე აღორძინდა კიდეც სახელმწიფო, პირველად ქართლმა დაიწყო ცნობიერი ისტორიული ცხოვრება. მოქალაქობრივს ცხოვრებას ზედ უნდა მოჰყოლოდა განათლებაც და საკვირველი არ არის, რომ ვინც პირველად დააარსა ერთი მთავრობა, სახელმწიფო (ფარნავაზ, III საუკ.) , იმან შემოიღო ანბანიც – ეს უძლიერესი იარაღი განათლებისა. თუ ასეა, მაშ ქართლის ენა, კილო, შეიქმნა საზოგადო, სამწერლო ენად. მართალია მესხეთში VIII-IX საუკუნიდგან იწყება განათლების გავრცელება, სწავლა-განათლების ლამპარი იქ უფრო გაჩაღებულია, ვიდრე შედარებით საქართველოს სხვა კუთხეში, მაგრამ ამ გარემოებას ჩვენის საგნისათვის მნიშვნელობა არა აქვს და აი რისთვის: მინამ მესხეთში, ბიზანტიის გავლენის გამო, სწავლა-განათლება მოიფინებოდა, მოქალაქეობრივი ცხოვრება განვითარებული იყო ქართლში.



ტიმოთე ბაბაშვილის მე-18 საუკუნის ჩანახატი. ათონის ივერთა მონასტერი, იოანესა და ეძვთიმე მესხების მიერ 980-983 წლებში დაარსებული

სახელმწიფოს დაარსებას თან მოჰყვა საერთო ენაც და უამისოდ ხომ სახელმწიფო ცხოვრება შესაძლო არ იყო. გარდა ამისა, თუ ჩვენი ახალგაზრდა ფილოლოგი მართლა თავის დედა-აზრს მტკიცედ ადგია. ისიც არ უნდა დაივიწყოს, რომ მესხეთი თვით-მოქმედს ძალას თითქმის არასოდეს არ შეადგენდა და თუ თავი იჩინა სახელმწიფო ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოსთან ერთად შეება ცხოვრების უღელში. წინად-კი უმეტეს ნაწილად მესხეთი საკუთარს არას წარმოადგენდა, სხვების ხელში სათამაშო ბურთი იყო და სხვა არაფერი. სულ სხვას ვპოვებთ ქართლში. თუ სადმე საერთო რამე იყო, ყოველთვის უფრო ქართლში მოიძებნებოდა...

პირუთვნელი ახალგაზრდა ფილოლოგი ისე გაუტაცნია მესხეთის სიყვარულს, რომ უბრალო ისტორიული ჭეშმარიტებაც-კი ავიწყდება, როცა ამბობს, რომ „პირველი მთარგმნელები (რასაკვირველია, საეკკლესიო წიგნებისა) მესხები იყვნენო“... „მერვე საუკუნიდამვე იწყება იმათი მოღვაწეობაო“... მაგრამ ჯერ ისევ მირიან მეფის შვილმა, ბაქარმა (342-364 წ.წ.) ბერძნულის ენის მაგივრად ქართულად შემოიღო წირვა-ლოცვა, გაათარგმნინა ბერძნულიდგან და ასურულიდგან საეკკლესიო წიგნები ქართულს ენაზედ. მეხუთე საუკუნეში გამოჩენილმა მთარგმნელებმა დავითმა, სტეფანემ და სხვ. იერუსალიმის მონასტერში სთარგმნეს ბევრი საეკკლესიო წიგნი ქართულად; მეფე მირდატ V ათარგმნინა წმ. სახარება, რომელიც ვახტანგ გორგასლანის ნაქონები ყოფილა და ბროსეს შიო-მღვიმის მონასტერში უნახავს. ნეტარ-ხსენებული გიორგი მთაწმინდელი ამბობს, რომ ქართველებს ძველისძველადგანვე ჰქონდათ ნათარგმნი სამღვთო წერილი და საეკკლესიო წიგნები...

ეს მაგალითები არა თუ მარტო ჩვენის ფილოლოგის შეცდომას ღაღადებენ, აგრეთვე ასაბუთებენ, ამტკიცებენ ჩვენს აზრს – ქართლში პირველადვე, დაშორებით ადრე, ლოც არსებობდა და საერთო სალიტერატურო ენაც. ის გარემოება, რომ კლასიკურის ლიტერატურის წარჩინებული წარმომადგენელნი მესხეთიდგან იყვნენ, სრულებითაც არ ამტკიცებს ვითომ მესხურს კილოს დარჩა ბურთი და მოედანი. საჭიროა დამტკიცდეს, რომ რუსთაველი და შავთელი მესხურ კილოთი სწერდნენ, მაგრამ ამის დამტკიცება ხომ შეუძლებელია, თუ არ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ენაც განვითარების კანონს ემორჩილებოდა, ნელ-ნელა სისრულეში შედიოდა და ბოლოს რუსთველებურმა კილომ დააგვირგვინა იგი, მაშინ აუცილებლად უნდა დავასკვნათ, რომ რუსთაველი საერთო ქართულის კილოთი სწერდა და არა მესხურითა, თუ გნებავთ – თავისებურად, რუსთველებურად და, ყოველ შემთხვევაში, არა მესხურად.

მაგრამ განათლებისა და ბიზანტიის ზედ-მოქმედების გარდა, მეორე გარემოებაც ხელს უწყობდა მესხურს კილოსაო, განაგრძობს პ.მირიანაშვილი. ეს მეორე გარემოება გურამ ბაგრატოვანის გამეფებაა. „ბაგრატიონთა გვარი მესხეთიდგან არის გამოსული. ამ გვარმა თავის ახალს საბძანებელს ენაც მიაღებინა(!!!). ამ გარემოების წყალობით მესხეთის ენას მიენიჭა მოქალაქობრიობა ქართულს მწერლობაშიო“... გამოდის, რომ გურამ ბაგრატოვანი მესხი ყოფილა და მესხური ენა ბაგრატოვანებს მიუნიჭებიათ საქართველოსათვის, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ პირველადვე, ქართლოსიანებიდგან დაწესებული, საქართველოს თავისი საკუთარი ენა ჰქონდა და ბაგრატოვანნი რა ენას მიაღებინებდნენ ახალს საბრძანებელს, ან რა საჭირო იყო ეს მიღებინება... მეორედ – ბაგრატოვანთა გვარი საქართველოს ტახტზედ ავიდა მეექვსე საუკ. და თვით გურამ მეფე გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როცა VI საუკუნე შესრულდა, ხოლო მეექვსე საუკუნემდე საქართველოს ყველაფერი თავისი საკუთარი მოეპოვებოდა: მწერლობაცა და ენაც... მესხეთი იმ დროს უბრალო პროვინციას შეადგენდა, რომელიც არც კულტურითა და არც ენით შესანიშნავი არ იყო. მან მხოლოდ შემდეგში იჩინა თავი; სწორედ მაშინ, როცა ... იყო დიდება მთლად საქართველოში. გარდა ამისა ბაგრატოვანთა გვარის ჩამომავლობა განცალკევებულს, განსხვავებულს მნიშვნელობას არასოდეს არ ანიჭებდა მესხეთს და ეს იმიტომ, რომ ბაგრატოვანნი მესხთა ჩამომავლობას არ ეკუთვნოდნენ, მესხეთიდგან როდი იყვნენ გამოსულნი, როგორც ბრძანებს ჩვენი ფილოლოგი, – არა, ჩვენი ბაგრატოვანნი გასომხებული ებრაელნი იყვნენ და თვით გურამის მამამ კლარჯეთი და ჯავახეთი იმიტომ მიიღო, რომ ჯვარი დაიწერა ვახტანგ გორგასლანის ქალზედ. თუ ეს ისაა, მაშ რამ აიძულა ბაგრატოვანები, რომ იმათ „ახალს საბძანებელს ენაც-კი მიაღებინეს?“ არაფერმა და ეს იმიტომ, რომ „ენის მიღებინებაცა“ და მესხეთის კილოს გამეფებაც ქართულს მწერლობაში ახალგაზრდა ფილოლოგის ფანტაზიის ნაყოფია და არა ნამდვილი ისტორიული ამბავი.

ნ.–ელი

გაზ. „ივერია“ N170, 1888 წელი

ბექა ჯაყელი

დასაწყისი გვ.4 ▶

იყვნენ და არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ იყო. რაც შეეხება ბექა მანდატურთუხუცესს, რა თქმა უნდა, მან შესანიშნავად იცოდა, რომ უკეთესია საქართველო ერთიანი იყოს, ვიდრე სამეფო-სამთავროებად დაშლილი. მაგრამ რისი გაკეთება შეეძლო პირადად მას საქართველოს გაერთიანებისათვის? რომელ მეფეს დამორჩილებოდა: დავით VIII-ს, გიორგი V-ს, თუ ვახტანგ III-ს? **საქართველოს, გაერთიანებისათვის, რისი გაკეთებაც შეეძლო, ბექა ჯაყელმა ის გააკეთა – აღზარდა გიორგი ბრწყინვალე.** ბექა ჯაყელის სიტყვა, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ სამცხის მთავარი საქართველოს პატრიოტი იყო, საერთო ქართულ საქმეზე შესტკოდა გული და შესანიშნავად ხვდებოდა თუ რა იყო გასაკეთებელი.

თურქთა წინააღმდეგ გამზადებულ ბექას 12 ათასი კაცი ჰყავდა. პირველი შეტაკება ვაშლოვანთან მოხდა. თურქთა 10 ათასიან ავანგარდს ქართველთა 500 კაციანი რაზმი დახვდა. მიუხედავად მოწინააღმდეგის უზარმაზარი რიცხობრივი უპირატესობისა, ქართველებმა მტერი უკუაქციეს. ამ გამარჯვების შემდეგ ბექა სპერში დაბანაკებული მოწინააღმდეგისაკენ დაიძრა. აზატ-მოსემ, შეიტყო რა თავის მენინავე ლაშქრის მარცხი, თავისი ჯარი ორად გაყო. ერთ ნაწილს ტაოს აოხრება უბრძანა, მეორეს კი თავად ჩაუდგა სათავეში და ვაშლოვანისკენ დაიძრა. ბექას ოთხი თურქი ჩაუვარდა ტყვედ. მათი დაკითხვის შემდეგ, ქართველთათვის მოწინააღმდეგის გეგმები ცნობილი გახდა. ბექამაც ორად გაყო ჯარი. ერთს სარგისი ჩაუყენა სათავეში და აზატ მოსეს წინააღმდეგ გაგზავნა, მეორეს კი თავად უსარდლა და ტაოსკენ დაიძრა. ორივე ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. მემატიანე განსაკუთრებით სარგისის ვაუკაცობას გამოყოფს – **„ხოლო სარგის, დაღათუ ყრმა იყო, არამედ მხნედ იბრძოდა, რამეთუ გვარისაგან მოაქვნდა სიმხნე და მამაცობა მამა-პაპური“.** ქართველებმა ქალაქი სპერიც აიღეს და **„აღივსნეს საქონლითა, ოქროთა, ვერცხლითა, ღარითა, ჯოგითა, ცხენითა და აქლემითა, ძროხითა და ცხვარითა, ანგარიში ვისგან ითქმის. და თვით მათთვე სახედართა აჰკიდეს და ძალით წარმოიღეს“.**

იმ დროს, როდესაც საქართველოს სამეფო დაშლილი და დასუსტებული იყო, ბექა ჯაყელი, სამხრეთ საქართველოსა და მის მოსაზღვრე მხარეებში, საერთო ქართული ინტერესების დაცვას ცდილობდა. მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ტრაპიზონის იმპერიასთან და თავისი ერთ-ერთი ასული ტრაპიზონის იმპერატორს ალექსი II-ს მიათხოვა. ჟამთააღმწერლის მიხედვით, იმპერატორმა ბექას ჭანეთი უბოძა. ყაზან ყაენმა კი – **„კარი და მიმდგომი მისი ქვეყანანი“.**

ბექა მანდატურთუხუცესის ღვაწლის აღსანიშნავად, მხოლოდ მისი საკანონმდებლო საქმიანობაც კი იკმარებდა. მის დროს შედგა სამართლის წიგნი – **„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“**, რომელმაც საბოლოო სახე ბექას შვილიშვილის, **აღბუღას** დროს მიიღო (ე.წ. „ბექა-აღბუღას სამართალი“). ბექას მმართველობის პერიოდშივე აიგო ტაძრები საფარასა და ზარზმაში.

როგორც ერთხელ აღვნიშნეთ, ბექას მონღოლებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მან, თავისი გავლენითა და ავტორიტეტით, გიორგი V-ს ტახტისკენ გზა გაუხსნა. **„გიორგი წარავლინა ბექამან ჩოფანს თანა და მან მიიყვანა ყაენის წინაშე. ხოლო მან პატივითა შეიწყნარა და წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა. ამან ყაენმან წარმოუვლინა მოციქული დავითს და სთხოვა შვილი, რათა მეფე ყოს. მაშინ მცირე იყო გიორგი. იგიცა მოსცეს და წარმოგზავნეს ურდოს. და ყაენმან მოსცა მეფობა და ტფილისი და უჩინა საზღვრად და საქმის მოურავად დიდი გიორგი“.** მეფე გიორგი IV კი მცირე იყო, მაგრამ ქვეყანას რეალურად მისი ბიძა, გიორგი V მართავდა. ამ დროიდანვე დაიწყო გიორგი V-ისა და ჩობანის ურთიერთობაც.

1308 წელს ბექა ჯაყელი, ალბათ ჯაყელთა საგვარეულოს ყველაზე გამორჩეული და ცნობილ წარმომადგენელი, გარდაიცვალა. **„მტერთა ძლევასა, მშვიდობასა და დაწყნარებასა მიიცვალა ვითარ სამოცდაექვსისა წლისა და დაუტევა გლოვა და მწუხარება უზომო მკვიდრთა სამცხისათა. დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის და შემდეგმან ყვარყვარე და უმრწამესმან შალვამ“.** მართალია ქართველი მემატიანე წერს, რომ მესხეთი ბექას „სამთავე ძეთა“ დაიკავეს, მაგრამ მესხეთის მთავარი უფროსი ძე **სარგისი (II)** გახდა.

მიხეილ გახტაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მესხეთი და ბ-ნი ნ. უ-ელი

„უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის" მთქმელი შოთა რუსთაველი ამ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს".

იღია ჭავჭავაძე

პატივცემულს მკითხველს საზოგადოებას უთუოდ ეხსომება, რომ „ივერიის" 166-ე ნომერში დავბეჭდე მოკლე წერილი საერო ენისა და სათემო კილოს შესახებ. ამ წერილის დედააზრი იყო, რომ ძველად მესხეთმა და, ან, უკეთ ვსთქვათ, იქიდამ გამოსულმა სასულიერო თუ საერო მწერლებმა, შემოიტანეს მესხური კილო ქართულს მწერლობაში, იქიდამვე გამოსულ ბაგრატოვანთ გვარის გაძლიერებისთანავე. ის კილო ჰსუფევდა ჩვენის მწერლობის კლასიკებრივს პერიოდში და ახლის დროების მწერლებმა-კი ყველამ თავ-თავის თემის კილოთი დაიწყეს წერა და ამ ნაირად აირია ენის ტაძარი-მეთქი. ვამბობდი აგრეთვე, რომ სათემო სიტყვა, ან სიტყვის საქცევი მაშინ უნდა იხმარებოდეს საერო მწერლობაში, თუ იმათ მაგიერ ან უცხო სიტყვაა შემოტანილი და ან სრულიად არაფერია-მეთქი, აღვნიშნე სათემო კილოს ხმარების საჭიროება მოთხრობის გმირული საუბრის დროს და სხვანი. მესხურ კილოს არსებობა კლასიკებრივს პერიოდში მოვიხსენე, როგორც მოვლინება: სრულიად არ გამომიცხადებია მაშინდელის სტილით წერის საჭიროება და არც პროვინციალიზმების წინააღმდეგ გამოვსულვარ იმ სახით, რა სახითაც ჩემი პატივცემული მოკამათე მახსენებს. ბ-ნმა ნ. უ-ელმა გააუკუღმართა ჩემი აზრი; ვერ გაიგო, თუ სხვა რამე გარემოებამ აიძულა, არ ვიცი. მე-კი გამოტეხით მოგახსენებთ, რაც არ მითქვამს, ის მომაჩეჩა და ზოგიც ნაოცნებარად ჩამომართვა.

მეტადრე უცხოდ სჩვენებია და ფანტაზიის ნაყოფად მესხეთიდგან ბაგრატოვანთა პოლიტიკებრივის ძლიერების გამოსვლა და მესხურ კილოს არსებობა კლასიკებრივს მწერლობაში. ეს აზრი ახალია და თუ ვინმე, რასაკვირველია, ისტორიის მოყვარე, ჩაუკვირდება, ისეთი საოცარი და ფუჭი არ არის, როგორც ბრძანებს ბ-ნი ნ. უ-ელი. პირიქით, საოცარია იმისი მოსაზრება, როდესაც ამბობს, ბაგრატოვანები გასომხებული ებრაელები იყვნენო და სხვა ადგილს შენიშნავს დიდის მოწმობით, მეექვსე საუკუნემდე საქართველოს ყველაფერი თავისი მოეპოვებოდა: მწერლობაცა და ენაცაო.

ქვემოთ დაინახავთ კარგად, თუ რამდენად საფუძვლიანია უკანასკნელი აზრი და პირველი ხომ წმინდა ოცნება არის, სომხის და ქართველ მწერალ-ბერთაგან გამოგონებული და ორთავე ქვეყნის ბაგრატოვანთაგან ხელშეწყობილი იმ განზრახვით, რომ თავიანთი შთამომავლობა დავით წინასწარმეტყველის გვართან დაენათესავებინათ და მით თავიანთი ბატონობა ღვთისგან კურთხეული ყოფილიყო, როგორც დავითისა და სოლომონისა, და ხალხის თვალშიაც ხელ-შეუვალი, ძნელად შესაბღალავი და სრულიად სჯულიერი გამოჩენილიყო.

ამ დინასტიის შთამომავლობა საარაკოა; ნამდვილს არაფერს წარმოგვიდგენენ არც სასომხეთის და არც საქართველოს მატიანენი, ეს კია მხოლოდ, რომ ბაგრატოვანები ჯერ სომხეთში გამეფდნენ და მერე საქართველოში.... საქართველოს მეფის ვახტანგ გორგასლანის სიძე გვარამ, ანუ გურამ ბაგრატოვანი, ცოლის ნამზითვს, კლარჯეთ-ჯავახეთში დამკვიდრდა და იქიდგან იწყება იმისი დიდება, რომლის მოსაპოვებლად დიდი ცდა დასჭირდება.

მესხეთი არა საქართველოდ არასოდეს არ თქმულა და მე, როგორ ვიტყოდი. სახელები: მესხეთი, სამცხე და მცხეთა ყველა ჰმოწმობენ ერთსა და იმავე ქართველობასა და ახალ-შენად ასულს ქართლის, მცხეთის თემს თან წაუღია თავისი სახელი, რომელიც დროთა განმავლობაში შეცვლილა მესხად, სამცხედ. სამცხეს და მცხეთას ორთავეს აქვსთ ერთი ძირი მცხ, რომელიც გამხდარა მის და მერე ე-ნის ჩამატებით მესხ. ძველად ეს ხალხი უცხოთაგან იყო ცნობილი, როგორც მოსიხი, მესხეთი, სამცხე გამოდის მცხეთის ყლორტი და იმისი ზემოქართულად დასახელება ამის შემდეგ უცილო ხდება.

ხოლო თუ ბაგრატოვანთა გვარმა ენა მიაღებინა ახალს საბრძანებელს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმათ პოლიტიკებრივს ძლიერებასთან ერთად გაძლიერდა მესხთა კალამიც, თავის საკუთარის გავლენის მქონი. აი ამ გარემოებამ იმოქმედა, თორე ქართლში ან სხვა თემებში სხვა ენა კი არ დახვედრიათ. პოლიტიკის ცენტრი ყოველთვის ქართლში ყოფილა პირველად მცხეთას, მერე ტფილისს და ერთხელ ქუთაისს, ტფილისი როცა არაბების ხელთ იყო, მაგრამ ამ გარემოებამ სრულიად ხელი ვერ შეუშალა მესხებს, რომ თავიანთის კილოთი აღებეჭდათ ოქროს საუკუნის მწერლობა. ამ დროის ბაგრატოვანთა კარზედ და მწერლობაში იგინი ბრწყინავენ.

ჭყონდიდელთა მწიგნობართ-უხუცესობისა და ქუთათელთაგან[1] მეფეთა კურთხევის დავედრებული უპირატესობაც, ჩემის აზრით, მოდის სწორედ იმ დროიდამ, როცა ბაგრატოვანები აფხაზეთს ეუფლნენ, მერმე სრულიად იმერეთს, ასე რომ, დასავლეთ საქართველოს მთლად აფხაზეთი ეწოდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოშიაც გამეფდებოდნენ.

მეექვსე საუკუნემდე და მის წინადაც ქართული ენა ყოფილა, მაგრამ მწერლობა-კი იმისთანა, როგორც ბ-ნი ნ. უ-ელი ბრძანებს, არ არსებულა; რაც იყო, ისიც ისეთივე უმნიშვნელო იყო, როგორც თვითონ პოლიტიკებრივი აგებულება სახელმწიფოსი. რაც მაშინ მწერალ-მთარგმნელები ან მეფენი ყოფილან, აჩრდილად არ გამოსჩნდებიან იმ ზოგიერთ მეფეებთან, რომელნიც მე-9-მე-11 საუკუნეებში მოღვაწეობდნენ და ან იმ მწერლებთან, რომელნიც იყვნენ მათის ძლიერების აპოგეას დროს და მწერლობის კლასიკებრივ პერიოდში. ბაგრატ მე-3, დავით აღმაშენებელი, თამარ დიდი და სხვანი, საქართველოს პოლიტიკებრივის ძლიერების წარმომადგენელნი არიან. ამათ გვერდით მოუყენეთ ჩვენის მწერლობის მნათობნი მესხნი წმინდა მამები თუ პოეტ-მწერლები და მაშინ წარმოიდგენთ იმ თვალის მომჭრელ ელვარებასა, რომელმაც, ვით დიდმა ნათელმა, შეიკრიბა და შეინთქა მანამდე მყოფი მცირე სხივი მეფობისა თუ მწიგნობრობისა. ბაგრატოვანთა გვარამდე არც მონარქია ყოფილა ისეთი, როგორც მიღებულია, სრულის ხელმწიფების გამომხატველი და არც უწერიათ ვისრამიან-ვეფხის-ტყაოსნები. მეექვსე საუკუნემდე ყველაფერი ცდა იყო, მონარქიის შექმნისაც და მწერლობის გაჩენისაც, ბედის მხოლოდ მონახევრე სრული ბედი-კი შემდეგში ენია იმათ საწადელსა, როცა იმათი ძვლებიც აღარ იყო და ზოგიერთის ხომ სახელიც წარხოცილიყო გულის ფიცრიდამ.

ბაგრატოვანთა მესხობა, ესე იგი ნამდვილი სისხლად ქართველობა, სრულიად არ სჩანს ჩემის წერილიდამ, არც ის ვიცით დარწმუნებით, ბაგრატოვანები ებრაელები, სომხები თუ გასომხებული ებრაელები იყვნენ, როგორც გადაჭრით ამბობს ბ-ნი ნ. უ-ელი. სხვის ფანტაზიის დამწამებელი თვითონ ფანტაზერობს პატივცემული მოკამათე და თავისი თქმული ხალას ოქროდ მიაჩნია. ამისთანა ზღაპრები რომ დავიჯეროთ, მაშინ ფარნავაზ მეფისგან ხაზინის პოვნაც ნამდვილ ამბავად უნდა მივიღოთ და საქართველოს გათავისუფლება ბერძენთ უღლისაგან ჩაფლულ ოქროს პოვნით უნდა აეხსნათ და არა ხალხის ნივთიერად გამდიდრებითა. ბაგრატოვანები ვინც იყვნენ შთამომავლობით, ჩვენთვის სულ ერთია და ვერც დავასახელებთ იმათ წინაპრებს ნამდვილ წყაროს უქონლობის გამო, მხოლოდ ამასკი ვიტყვით, რომ სომხეთში გამეფებულან, ერთი იმათი გვართაგანი ვინმე გვარამ ჩასიძებია, თუ ზღაპარი არ არის, ვახტანგ გორგასლანს, რომლის ქალი შეურთავს და მზითვად კლარჯეთ-ჯავახეთი აუღია. განა ისე უეცარი იყო ბაგრატოვანთა გვარის გაძლიერება, რომ სასანიანთ დინასტიას დასუსტება აღარ დასცალდა? გვარამ ისე ხომ ვერ ჩაიგდებდა ხელში საქართველოს ტახტს? მას დრო და ჟამი უნდოდა, კლარჯეთ-ჯავახეთში დამკვიდრება, გაძლიერება, მერმე თანადგომა და სულ მერმე გამარჯვება და გაბატონება. ქართველთ მეფის სიძე გვარამ ბაგრატოვანი, უეჭველად სომხების ბაგრატოვანთა გვარის ნათესავი იყო და იმის გამეფება აიხსნება ამნაირად: სასანიანთ გვარი მაშინ სუსტი უნდა ყოფილიყო, როგორც ამბობენ სომხის მატიანენი, როცა ვახტანგს გორგასლანს უბრალო ხელქვეით მთავარს ბდშხს უწოდებენ და სომხის ბაგრატოვანების გავლენასაც უნდა ემოქმედნა გვარამის გამეფებაზე. ყოველ შემთხვევაში მესხეთი და იმასთან, ცხადია, კლარჯეთ-ჯავახეთიც საბერძნეთის (ბიზანტიის) კეისრის საბრძანებელი იყო, შეადგენდა იმის სავასალოს, როგორც ჰმოწმობს კეისრისაგან გვარამის მეფედ კურთხევა ყველა ერისთავთა თხოვნით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხის მემატიანეებს, რომელნიც ჰხედავდნენ ზოგიერთ სავასალო პროვინციებს, ვახტანგ გორგასლანიც ვასალად მიაჩნდათ და ამიტომაც ეძახდნენ ბდშხს. თუ ასეა, ვახტანგისაგან კლარჯეთ-ჯავახეთის მზითვად მიცემაც კეისრის ნება-დართვით უნდა მომხდარიყო. თვითონ გვარამს პირველად ჰქონდა კურაპალატობის ღირსება კეისრისაგან ნაწყალობევი.

ვახტანგ გორგასლანის სიკვდილიდამ (499) გვარამ, ანუ გურამ ბაგრატოვანის გამეფებამდე (575) სამოცდა თექვსმეტმა წელიწადმა განვლო და ამდენი ხანი კარგად კმაროდა, რომ ჩასიძებულს გვარამ ბაგრატოვანს, კლარჯეთ-ჯავახეთის მზითვად ამღებელს, მომეტებული შანსები მოეპოვებინა თავის გასამეფებლად, მოემხრო უმაღლესი ბატონი საბერძნეთის კეისარი, საქართველოს ერისთავები და სომხეთის ბაგრატოვანთ გვარეულობა, რომლის გამოსვლაც მესხეთიდგან ამის შემდეგ ცხადი ხდება.

ამ გვარის გამეფებიდგან სამასიოდე წელიწადმა განვლო მესხების გამოსვლამდე სალიტერატურო ასპარეზზე; რამდენიც დრო გადიოდა, მესხეთს იმდენი უფრო ეფინებოდა განათლების სხივი ბიზანტიის მეზობლობის წყალობით და მე-9 საუკუნეში ხომ მარტო მესხეთში იყო სკოლები და სწავლა-განათლება, როგორც ჰმოწმობს ჯევანშირ, და სწავლულებიც იმათგან იყვნენ. ბაგრატოვანთა გვარმა რომ პოლიტიკებრივი ძლიერება შექმნა, მწერლობაც აღორძინდა იმასთანავე და განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიაღწია; ჯერ პროზა აჰყვავდა და მერმე პოეზია. პირველის სასიქადულო ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ვისრამიანი და მეორისად ვეფხის-ტყაოსანი. ამ ბაგრატოვანთა გვარის მწერლები ვიდრე საქართველოს წვრილ სამეფოებად დაყოფამდე მესხები იყვნენ და იმათი კილო ჰსუფევდა მწერლობაში. ისე ძლიერი იყო იმათი გავლენა, რომ მეთვრამეტე საუკუნის ზოგიერთ მწერლებსაც კი მოხვდა, რის მაგალითებს ქილილა და დამანა და სიბრძნე სიცრუისა საკმაოდ გვაძლევენ. მაგრამ ამ აზრის დასარღვევად ჩემ პატივცემულს მოკამათეს არაფერი საბუთი არ მოჰყავს, იმის გარდა, რომ ამბობს, ჯერ უნდა დამტკიცდეს, თუ რამდენად არის მესხური ელემენტი ჩვენს მწერლობაშიო. ამის პასუხად დავასახელებთ რუსთველის მიმართ პოეტ არჩილ მეფის საყვედურს უშნო ჯავახურის სიტყვების შემოტანისათვის ქართულს მწერლობაში, ესეც საკმარისია მას შემდეგ, რაც მაგალითები მაქვს წინა წერილში მოხსენებული.

მესხეთის კილოს გამთავრებით სრულიად არ შემოსულა უცხო ენა საქართველოში, იოანნე, გიორგი და ევთიმე წმინდა ქართულს ლაპარაკობდნენ ისე, როგორც იმათი სამშობლო მესხეთის თემი წმინდა ქართულს ლაპარაკობდა და დღესაც ჩინებულად ლაპარაკობს, თუმც ორიოდე საუკუნე გადის მას აქეთ, რაც მაჰმადიანობის ცეცხლმა და მახვილმა მოგვაშორა. არც პირველ მთარგმნელებად იწოდებიან ეს წმინდა მამები; ვიდრე ესენი გამოვიდოდნენ, ქართულს ენაზე მთარგმნელები ყოფილან, როგორც ჩამოთვლილი აქვს ბ-ნს ნ. უ-ელს, მაგრამ კიდევ ვამბობ, მანამდელი მოღვაწეობა აჩრდილიც არ არის და ბევრი ხომ ჯერ კიდევ ასახსნელი და დასამტკიცებელია. მთარგმნელი მესხები ტაოით ევთიმე, რომლის აუარებელ ნათარგმნ თუ ორიგინალ თხზულებათაგან ორმოც-და-თორმეტი კიდევ დარჩენილა, და თრიალეთით გიორგი, რომლის ნაღვაწი დღეს თვრამეტი-ღა თხზულება მოგვეპოვება, ისეთნი ბურჯნი არიან, რომ იმათი შერყევა ყოვლად შეუძლებელია. მანამდე უსუსური ქართული მწერლობა მათგან გაძლიერდა და ფესვი გაიღო, თუმცა ბარბარიზმებ ნარევი-კი იყო.

მეცხრე საუკუნეში მხოლოდ სამცხე იყო სკოლებით მოფენილი, ჯუანშირის თქმით, თვითონ მესხეთის მკვიდრნი ჯერ რომისა და მერე ბიზანტიის იმპერიაში ცნობილნი იყვნენ, როგორც ჩინებული ვაჭრები. სულ ძველად საქართველოს თემებში იმის მეტს არც ერთს არ იცნობდნენ უცხო ხალხები. მოსოხის ვაჭრობა და მრეწველობა[2] განთქმული იყო. საბერძნეთ-რომის ხშირად ქვეშევრდომი თვითონაც გაძლიერებულა იქამდე, რომ ბატონისთვის მოსვენება არ მიუცია, დიდი მიტრიდათ, რომის თავს ზარდამცემი, მესხეთზედაც მეფობდა და სრულიად იმერეთ-სამეგრელოზედ, რომელიც იყო აგრეთვე პონტოს საბრძანებელი. ქრისტიანობის პირველი ხმა მოციქულთაგან მესხეთით მოისმა. ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც მოხდებოდა რომისა თუ ბიზანტიის იმპერიებში, ცოტად თუ ბევრად გამოდიოდა მესხეთშიაც, ზოგი აღებმიცემობის წყალობით და ზოგიც პოლიტიკებრივად.

ყოველ გვარი გარემოება ხელს უწყობდა მესხეთს, რომ სწავლა-განათლების წყაროსთან, რომაელ-ბერძნებთან ახლო მდგარიყო და აღებ-მიცემობის წყალობით საშუალება ქონებოდა შინ სკოლები დაემართა. განათლებულმა ბატონებმა ჭკუაც ასწავლეს და თავიც აცნობინეს სპარსელების ხელში ხშირად ყოფნა იმათ ხეირს არ დააყრიდა, რომაულ-ბერძნულისებრს კეთილ ნაყოფიერ გავლენას ვერ იქონიებდა მათზე. სპარსელები რასაც შესძენდნენ იმათ, ყველაფერი აზიური ექნებოდათ, ზნე-ჩვეულებაცა და პოლიტიკებრივი ცხოვრებაც გულწრფელი და თვისის თავის ვერ მოდარაჯე. თავის მდებარეობისა და მდგომარეობის წყალობით მესხეთი ევროპიულის მხნეობის, შრომის, განათლებისა და პოლიტიკის შემომტანი შეიქმნა საქართველოში მეთერთმეტე, მეთორმეტე საუკუნეში. იქიდამ საერო მწერლებიც გამოვიდნენ, რომელთაც კალმის ძლიერება თანამედროვე პოლიტიკის ძლიერების ხარისხზედ აიყვანეს. სარგის თმოგველი, რუსთაველი, შავთელი და სხვანი, რომელთა მოვლინებაც ჩვენის მწერლობის კლასიკებრივს პერიოდში ბ-ნს ნ. უ-ელს სარწმუნოდ მიაჩნია, სულ მესხები იყვნენ და დღევანდელ დღემდისაც კი მათი გავლენა ცხადად ატყვია ქართულს მწერლობას.

ევთიმე და გიორგი მთაწმინდელთა მხნეობამ და შრომის სიყვარულმა ერთის და სარგის თმოგველისა და რუსთაველის გამოთქმის ხერხმა, ენის პლასტიკამ მეორე მხრით შეჰქმნეს ის სულიერი საზრდო და საუნჯე ენისა, რომლის წყალობით ქართველობა დღემდე დაცულა.

ოქროს საუკუნე ჩვენის მწერლობისა იმ დროსვე მესხურია და გაძლიერდა სწორედ მესხეთიდამ.

პ. მირიანაშვილი,
გაზ. „ივერია", 1888 წელი, სექტემბერი, N182

1 ჭყონდიდელთა მწიგნობართ-უხუცესობა ყოველად უცილოა, ხოლო ქუთათელთაგან მეფეთ კურთხევა საეჭველია; ამბობენ, ქუთათელსაც იმისთანავე უპირატესობა ჰქონდა მეფეთ კურთხევისა და თამარს იმან დაადგა თავს მეფობის გვირგვინი დიდუბეშიო.

2 ბერძნები ხალიბთაგან გაეცვნენ ფოლადს და თვითონ საგანს იმის მრეწველის თემის სახელი უწოდეს. ხალიბნი მესხეთის სათემოს ეკუთვნოდნენ და იყვნენ ქართველები (ავტორი).

მილოცვა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ქალაქ ახალციხის კეთილდღეობისათვის დამაშვრალ ადამიანებს, ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის მენეჯერს **ციური ლაფაჩს**, გაზეთ „ადგილის დედის" რედაქტორს **იზოლდა წიქარიშვილს**, ნეკრესისი მიტროპოლიტ **სერგი ჩეკურიშვილს**, ახალციხის მესამე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს **მარიამ კარაპეტიანს** დიდი სახალხო დღესასწაულის – „შალვა ახალციხელობის" დღესთან დაკავშირებით ახალციხის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას .

ვიქტორ პელევინი

საკულტო რომანების ავტორი ვიქტორ პელევინი დაიბადა 1962 წელს მოსკოვში. 1985 წელს დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი. სწავლობდა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, საიდანაც 1991 წელს გარიცხეს.

მიღებული აქვს: პრემია „მცირე ბუკერი“ (1993), აპოლონ გრიგორიევის ლიტერატურული პრემია (2003), პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2004), პრემია „დიდი წიგნი“ (2010) და სხვა.

ქვისგან გამოთლილი კერპების გლუვი სახეების უკან ხშირად ნაპრალებისა და სიცარიელის ლაბირინთებია, სადაც სხვადასხვა სახეობის ფრინველები სახლობენ.

ჯოზეფ ლევენდერი,
„კუნძული პასხი“

ზიგმუნდი კაფეში

ვენაში ასეთი სიცივე ჯერ არ ყოფილა, მსგავსი რამ ვერც ზიგმუნდმა გაიხსენა. ყოველ ჯერზე, როდესაც კარი გაიღებოდა და კაფეში ცივი ჰაერი შემოვარდებოდა, ის ოდნავ იბუზებოდა. საკმაო ხანია აღარავინ შემოსულა და ზიგმუნდმა მოხუცებულივით იოლად ჩასთვლიმა. კარის მორიგ გაჯახუნებაზე კი თავი წამოსწია.

კაფეში შემოვიდნენ – ბაკენბარდებიანი ბატონი და კეფაზე დამაგრებულ ნაწნავებიანი ქალბატონი. ქალს ხელში გრძელი, მახვილბოლოიანი ქოლგა ეკავა.

მანდილოსანს პატარა ხელჩანთა მოჰქონდა. ხელჩანთას კიდეებზე ტყავის პრიალა არშია დასდევდა და დამდნარი ფიფქებისგან ოდნავ დანესტიანებულიყო.

ისინი ტანსაცმლის საკიდართან გაჩერდნენ და გახდა დაიწყეს – მამაკაცმა საწვიმარი გაიძრო და კაუჭზე დაჰკიდა. შლაპა კი ხელიდან გაუვარდა და იატაკზე დაეცა. ბაკენბარდებიანმა რაღაც ჩაიბურტყუნა, შლაპას დასწვდა, დაკიდა და მანდილოსანს ქურქის გახდაში მიეხმარა. ქალბატონმა კეთილმოსურნედ გაუღიმა და უცებ გუნება გაუფუჭდა – ხელჩანთას საკეტი გახსნოდა და თოვლით ამოვსებულიყო. მანდილოსანმა ხელჩანთა მხარზე გადაიკიდა, ქოლგა კუთხეში, რატომღაც ტარით ქვემოთ მიაყუდა, კავალერს ხელკავი გამოსდო და დარბაზში შევიდა.

– ოჰო, – მშვიდად თქვა ზიგმუნდმა და თავი გააქნია.

იმ მაგიდის შორიახლოს, საითკენაც ბაკენბარდებიანი ბატონი და მისი თანმხლები ქალბატონი გაემართნენ, კედელსა და ბარის დახლს შორის პატარა კუთხე იყო, სადაც მეპატრონის შვილები ფუსფუსებდნენ – რვა წლის ბიჭი, შავი რომბებით მოფენილი თეთრი, განიერი სვიტერითა და მასზე ოდნავ უმცროსი გოგონა მუქ კაბასა და ზოლიან შალის რეიტუზში. იატაკზე ასაწყობი კუბიკები ეყარა და ნახევრადდაჩუტული რეზინის ბურთი ეგდო.

საკვირველია, მაგრამ ბავშვები კარგად იქცეოდნენ. ბიჭი ნახატებიანი კუბიკებით უცნაური ფორმის სახლს აშენებდა, თუმცა ნაგებობა გამუდმებით ინგრეოდა, რადგან კუბიკებს შორის დიდი მანძილი იყო და ზედა კუბიკი ნაპრალში ვარდებოდა. თითოეულ ჯერზე, როდესაც კუბიკები იფანტებოდა, ბიჭი ერთხანს ჭუჭყიანი თითით ცხვირს ნაღვლიანად იჩიჩქნიდა, მერე კი ხელახლა აშენებდა. გოგონა პირდაპირ იატაკზე, ბიჭის მოპირდაპირედ იჯდა და ძმას უინტერესოდ შეჰყურებდა. თვითონ წვრილი მონეტებით ერთობოდა – ხან იატაკზე ალაგებდა, ხან ერთად აქუჩებდა და კაბის კალთის ქვეშ მალავდა. ეს გართობა გოგონას მალე მობეზრდა, მონეტებს თავი ანება, გვერდზე გადაიხარა, ახლომდებარე სკამს ფეხში ჩაეჭიდა, თავისკენ მიაცურა, იატაკზე გადააბრუნა და ბურთს უბიძგა. ბურთი ბიჭისკენ ზუსტად იმ დროს გაგორდა, როდესაც ნაგებობის თავზე ბოლო კუბიკის დადებას აპირებდა და ყველაფერი იატაკზე ჩამოიშალა. ბიჭმა თავი ასწია და დას მუშტით დაემუქრა. საპასუხოდ გოგონამ პირი დააღო და ენა გამოუყო.

– ოჰო, – თქვა ზიგმუნდმა და მზერა ბაკენბარდებიან მამაკაცსა და მანდილოსანზე გადიტანა.

ბატონი ხამანწკებს შეექცეოდა, პატარა ვერცხლის დანით ნიჟარებს ოსტატურად ხსნიდა, თან ქალბატონს რაღაცას უყვებოდა, რომელიც იღიმებოდა, თავს უქნევდა და ქამა სოკოს მიირთმევდა – ორკბილა ჩანგლით ლანგრიდან სათითაოდ იღებდა და სქელ, ყვითელ საწებელში ამოწებამდე გულდასმით ათვალიერებდა. მერე ბაკენბარდებიანმა ბოთლის ყელი ჭიქაზე გააწკარუნა, თეთრი ღვინო დაისხა, დალია და თეფშით წვნიანი მიიჩოჩა.

ოფიციანტმა მაგიდაზე ლანგრით შემწვარი თევზი დადგა. მანდილოსანმა თევზს დახედა, უცებ შუბლზე ხელისგული იტკიცა და მამაკაცს გაუბა ლაპარაკი. ბატონმა ერთხანს უსმინა, სახე უნდობლად დამანჭა, მერე კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დალია და სიგარეტი კონუსისებურ წითელ მუნდშტუკში გულდასმით ჩაამაგრა, რომელიც მას ნეკსა და არათითს შორის ეკავა.

– ოჰო! – თქვა ზიგმუნდმა და დარბაზის შორეულ კუთხეს მიაცქერდა, სადაც დაწესებულების დიასახლისი და ჩაფსკვნილი ოფიციანტი იდგნენ.

იქ ნათურა გადაიწვა და შედარებით ბნელოდა. დიასახლისს მსუქანი ხელები თეძოებზე შემოეწყო და ზევით იყურებოდა, – ამ პოზითა და სხვადასხვაფერი ზიგზაგებით დამშვენებული წინსაფრით ის ანტიკურ ამფორას მიაგავდა. ოფიციანტმა გრძელი კიბე მოიტანა, რომელიც ცარიელ მაგიდასთან იდგა. დიასახლისმა კიბის სიმყარე შეამოწმა, ჩაფიქრებულმა თმები მოიქექა და ოფიციანტს რაღაც გადაულაპარაკა. ის შეტრიალდა, ბარის დახლს შემოუარა, დაიხარა და ერთხანს გაუჩინარდა. მერე წელში გაიმართა და დიასახლისს რაღაც კაშკაშა ნივთი დაანახვა. დიასახლისმა ხელი ენერგიულად დაუქნია. ოფიციანტი დაბრუნდა, აწეული ხელით ნაპოვნი ფარანი გაუწოდა, მაგრამ დიასახლისმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და თითით იატაკზე მიუთითა. მაგიდის გვერდით, სარდაფში ჩასასვლელი კიბის კვადრატული სახურავი ძნელი შესამჩნევი იყო, რადგან სახურავს პარკეტივით რუმბის მოყვანილობა ჰქონდა და მისი გამორჩევა მხოლოდ კიდეებზე შემოვლებული სპილენძის თხელი ორმაგი ზოლითა და სპილენძისავე რგოლით შეიძლებოდა.

ოფიციანტმა შარვალი აკურატულად აიქაჩა, ჩაცუცქდა, ხელი რგოლს ჩაავლო და ერთი ძლიერი მოძრაობით სახურავი ახადა. დიასახლისმა შუბლი ოდნავ შეჭმუხნა და ფეხი მოინაცვლა. ოფიციანტმა კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო – ქალმა კვლავ ენერგიულად დაუქნია თავი და კაცი სარდაფში ჩაძვრა. როგორც ჩანს, იატაკის ქვეშ, პატარა კიბე იყო, რადგან ის მოკლე-მოკლე ნახტომებით ეშვებოდა. ოფიციანტი თავსახურს თვითონ იჭერდა, მაგრამ როდესაც საკმაოდ ქვევით ჩავიდა დიასახლისი მიეხმარა – წინ გადაიხარა, სახურავის კიდეს ორივე ხელით ჩააფრინდა და ბნელ ხვრელს დაძაბული ჩააცქერდა.

გარკვეული დროის მერე, ჩასასვლელიდან ამომძვრალმა ოფიციანტმა, რომელსაც თეთრი ქურთუკი აბლაბუდათი და მტვრით მთლად გასვროდა, თავსახური დახურა და დახლისკენ გაემართა, მაგრამ დიასახლისმა ჟესტით შეაჩერა და უკან დაბრუნება უბრძანა. ქურთუკი გულდასმით ჩამოუბერტყა, ნათურა გამოართვა, დაორთქლა და ხელისგული რამდენჯერმე ნაზად გადაუსვა. მერე ფეხი კიბის ქვედა საფეხურზე შედგა, მოიცადა და როდესაც ოფიციანტმა კიბეს გვერდიდან ხელი ძლიერად ჩასჭიდა, მაღლა ავიდა.

გადამწვარი ნათურა შუშის ვიწრო აბაჟურში უნდა შეეცვალა, რომელიც გრძელ მავთულზე ეკიდა და ძალიან მაღლა აძრომას არ ითხოვდა. დიასახლისმა ხუთი თუ ექვსი საფეხური აიარა, ხელი აბაჟურში შეყო და ნათურის მოშვებას შეეცადა, მაგრამ მეტისმეტად მყარად მოეჭირათ და აბაჟური მავთულთან ერთად დატრიალდა. ქალმა ახალი ნათურა ხრახნის მხრიდან ტუჩებით ფრთხილად დაიჭირა, გათავისუფლებული ხელით აბაჟური კიდით დაიკავა, გადამწვარი ნათურა მოუშვა, წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო და ახალი მოუჭირა. ოფიციანტი ძლიერი ხელებით კიბეს იჭერდა, ფუმფულა ხელისგულების მოძრაობას მოჯადოებული აკვირდებოდა და დროდადრო გამომშრალ ტუჩებზე ენის წვერს ისვამდა. უცებ მქრქალმინიან აბაჟურში სინათლე აინთო. ოფიციანტი შეკრთა, თვალი დახუჭა და წამით კიბეზე ჩავლებული ხელი მოუდუნდა. კიბე შექანდა, დიასახლისმა ხელები აიქნია და კინაღამ იატაკზე დაენარცხა. ბედად, ოფიციანტმა კიბის შეკავება მოახერხა. შიშისგან გაფითრებულმა დიასახლისმა პარკეტზე ისკუპა და ძალაგამოცლილი ოფიციანტის მკლავებში გაინაბა.

– ოჰო! ოჰო! – ხმამაღლა თქვა ზიგმუნდმა და ახლა მაგიდასთან მსხდომ წყვილს მიაჩერდა.

მანდილოსანი უკვე დესერტს მიირთმევდა – ხელში მოგრძო კრემიანი ნამცხვარი ეკავა და ფართო მხრიდან ცოტ-ცოტაობით კვნეტდა. როდესაც ზიგმუნდმა მზერა მიაპყრო, ქალბატონი დიდი ლუკმის ჩაკბეჩას შეეცადა – ნამცხვარი პირისკენ წაიღო და კბილები მოუჭირა. თეთრმა, სქელმა კრემის ღრუბელმა ოქროსფერი თხელი ფირფიტა გამოგლიჯა და ნამცხვრის ბოლოდან გადმოვარდა. ბაკენბარდებიანმა ყველაფერი წამიერად იაზრა და, იმის მაგივრად, რომ კრემს სუფრაზე მოედინა ტყაპანი, მის ხელისგულზე აღმოჩნდა. ქალბატონმა გაიცინა. ბატონმა კრემიანი ხელი პირთან მიიტანა და რამდენჯერმე ალოკა. მანდილოსანმა ისევ გაიცინა და ნამცხვარი თევზის ჩონჩხიან ლანგარზე მოისროლა. კაცმა ქალის ხელი დაიჭირა და გრძნობით აკოცა. მანდილოსანმა ოქროსფერი ღვინით სავსე ბოკალი ასწია და რამდენიმე ყლუპი მოსვა. ბატონმა კონუსისებურ წითელ მუნდშტუკში ახალი სიგარეტი ჩაამაგრა, რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და რგოლები გამოუშვა.

ეჭვი არაა, ის ამ რთული ხელოვნების დიდოსტატი იყო. თავდაპირველად ერთი დიდი, მოცისფრო, ტალღოვანი რგოლი გამოუშვა, მერე პატარა რგოლი მიადევნა, რომელიც პირველ რგოლში ისე გაძვრა კიდეებს არ შეხებია. მერე ხელი ჰაერში გაიქნია, ბოლის კონსტრუქცია მიმოფანტა და ამჯერად ორი ახალი რგოლი მიდევნებით გამოუშვა, რომლებიც ერთმანეთს დაეკიდნენ და რვიანი მოხაზეს. ქალბატონი მომხდარს ინტერესით შესცქეროდა და თავისდაუნებურად ლანგარზე დადებულ თევზის თავს თმის ხის წვრილ სარჭს არჭობდა.

ბატონმა ფილტვები ბოლით კიდევ ერთხელ აივსო, ორი გრძელი ნაკადი გამოუშვა, რომლიდანაც ერთი ზედა რგოლში გაძვრა, მეორე – ქვედაში. მერე ერთმანეთს შეერივნენ და დაბინდულ, ცისფერ ბოლქვად გადაიქცნენ. ქალბატონმა ტაში შემოჰკრა.

– ოჰო! – წამოიყვირა ზიგმუნდმა. ბატონი მისკენ შებრუნდა და დაკვირვებული მზერით შეათვალიერა.

ზიგმუნდმა კვლავ ბავშვებს გახედა. როგორც ჩანს, რომელიღაც მათგანმა ახალი სათამაშოები მოიტანა – კუბიკებისა და ბურთის გარდა მათ გარშემო ეყარა გაჩეჩილი თოჯინები და პლასტილინის სხვადასხვაფერი ნაჭრები. ბიჭი კვლავინდებურად კუბიკებით თამაშობდა, ოღონდ ახლა არა სახლს, არამედ გრძელ, მაღალ კედელს აშენებდა, რომელზედაც თანაბარ შუალედებში იდგნენ გრძელი, წითელი ფრთებით მორთულ ქუდიანი კალის ჯარისკაცები. კედელში დატანებულ რამდენიმე გასასვლელს სამსამი ჯარისკაცი დარაჯობდა – ერთი გარედან, ორნიც შიგნიდან. ნახევრად წრიული კედლით შემოსაზღვრული სივრცის ცენტრში ოთხი კუბიკისგან გულდასმით მოწყობილ სადგარზე ბურთი იდო, რომელიც იატაკს არ ეხებოდა და მხოლოდ კუბიკებს ეყრდნობოდა. გოგონა ძმისგან ზურგით იჯდა და კანარის ჩიტის ფიტულის კუდს დაბნეული კბენდა.

– ოჰო! – შეშფოთებით შეჰყვირა ზიგმუნდმა. – ოჰო! ოჰო!

ამჯერად მას არა მხოლოდ ბაკენბარდებიანმა ბატონმა გახედა ალმაცერად (ის ქალბატონთან ერთად უკვე ტანსაცმლის საკიდართან იდგა და იცვამდა), არამედ დიასახლისმაც, რომელიც გრძელი ჯოხით ფანჯარაზე ფარდებს ასწორებდა. ზიგმუნდმა მზერა დიასახლისზე გადაიტანა, მერე კედელზე, სადაც რამდენიმე სურათი ეკიდა – პატარა ზღვის პეიზაჟი მთვარითა და შუქურით და კიდევ დიდი, გაუგებარია კაფეში რანაირად მოხვედრილი ავანგარდული ტილო – ორ თავახდილ როიალში იწვნენ გარდაცვლილი ბუნიუელი და სალვადორ დალი, ორივენი საოცრად გრძელი ყურებით.

– ოჰო! – მთელი ხმით შეჰყვირა ზიგმუნდმა. – ოჰო! ოჰო!! ოჰო!!!

ყველანი მას მიაჩერდნენ, თანაც, ერთი მხრიდან, გრძელი ჯოხით ხელში დიასახლისი უახლოვდებოდა, მეორე მხრიდან კი ბაკენბარდებიანი ბატონი, რომელსაც შლაპა ეჭირა. დიასახლისი, როგორც ყოველთვის, შუბლშეკრული იყო – ბატონი კი გაკვირვებული და გულაჩუყებული. ზიგმუნდმა საფრთხე იგრძნო და მოიბუზა.

– რა ლამაზი თუთიყუში გყოლიათ, – ბაკენბარდებიანმა დიასახლისს მიმართა. – კიდევ რა სიტყვები იცის?

– ბევრი სიტყვები იცის, – უპასუხა დიასახლისმა, – აბა, ზიგმუნდ, კიდევ გვითხარი რამე. – ხელი შემართა და საჩვენებელი თითის წვერი გალიის წნელებს შორის შეყო.

– ზიგმუნდი ყოჩაღია, – ამაყად თქვა ზიგმუნდმა და ყოველი შემთხვევისთვის, ქანდარაზე, გალიის შორეული კუთხისკენ გადაინაცვლა, – ზიგმუნდი ჭკვიანია.

– ჭკვიანი კია, მაგრამ, – თქვა დიასახლისმა, – მაგრამ მთელი გალია მოსვარა.

– ნუ იქნებით ასეთი სასტიკი საბრალო ფრინველისადმი. ეს ხომ მისი გალიაა და არა თქვენი, – ბაკენბარდებიანმა ბატონმა თმაზე ხელი გადაისვა, – გალია ზიგმუნდის სახლია.

მერე, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ვიღაც უხამს ბარმენ ქალს გაუყადრა თავი, უხერხულობა იგრძნო. ბატონმა გამეხებული სახე მიიღო, შლაპა დაიხურა, შეტრიალდა და კარისკენ წავიდა.

თარგმნა
აკაკი დაუშვილმა

მწერლობის მისია

დასაწყისი გვ.1 ▶

ქართველ მწერლებს ეკუთვნოდა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ დავიბრუნეთ;

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილიც შეპირებული იყო შენობის დაბრუნებას, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, გადაწყვეტილება ვერ მიიღო და ისევ კულტურის სამინისტროში გადაგვამისამართა; ფაქტობრივად, ნაწილობრივ გაუქმებული კულტურის სამინისტრო კი დღეს ვერაფერს წყვეტს!

ჩვენ ერთად, სამომავლოდ, შენობის დასაბრუნებლად, როგორც ჩანს, აქციების ჩატარებაც მოგვიწევს!

ჩვენი არაერთი მიმართვისა, საქართველოს ხელისუფლებამ 2017 წელს ვერ მოახერხა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილის აღნიშვნა; მაშინ, როდესაც რუსთაველით და „ვეფხისტყაოსნით“ მთელ მსოფლიოში შეგვიძლია წარმოვჩნდეთ დიდი ისტორიის და დიდი კულტურის ერად.

შოთა რუსთაველის იუბილე მაღალ დონეზე აღინიშნა სანკტ-პეტერბურგში, სადაც ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა მისი სახელი და დაიდგა პოეტის ძეგლი, რომლის ინიციატორიც ჩვენი თანამემამულე, კარგი მამულიშვილი და პოეტი, ავთანდილ ბუთხაშვილია. იუბილე აღინიშნა ასევე ისრაელში და სხვა ქვეყნებში, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების უნიათობაზე მიანიშნებს!

მიუხედავად იმისა, რომ 167 წლის ჟურნალ „ცისკარს“ საქართველოს კულტურის სამინისტრომ არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, იმავე კულტურის სამინისტრომ ვერ გამონახა საკმარისი თანხა ამ ჟურნალის დასაფინანსებლად და, ფაქტობრივად, გაწირა დასახურად! ასევე არ ფინანსდება გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, „მწერლის გაზეთი“, ჟურნალები „მნათობი“, „დილა“, „ნობათი“ და ა.შ.

სამაგალითოდ, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში, – აზერბაიჯანში, ხელისუფლება აფინანსებს მწერალთა კავშირს, მწერალთა კავშირის სამ ლიტერატურულ ჟურნალსა და ლიტერატურულ გაზეთს; ამავე დროს მწერლებს 60 წლამდე ეძლევათ სტიპენდია 400$, 60 წლის ზევით – 800$.

აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებობს და ფინანსდება მთარგმნელობითი ცენტრი, რომელიც მსოფლიოს აცნობს აზერბაიჯანულ ლიტერატურას და აზერბაიჯანულად თარგმნის სხვა ქვეყნების მწერლებს. მათ ჩვენი ჩარევით უკვე გამოსცეს ქართული პროზის ანთოლოგია, რამდენიმე ქართველი პოეტის წიგნი და ამზადებენ ქართული პოეზიის ანთოლოგიასაც!..

სწორედ ეს არის სახელმწიფოებრივი ზრუნვა კულტურაზე და მწერლობაზე, რაც ჩვენ ძალიან გვაკლია!

წლების განმავლობაში შოუმენების, მედროვეების, ხელისუფლების „კარის მწერლების“, ეგრეთწოდებული „პოლიტოლოგების“, „არასამთავროების“, მდარე ხარისხის მასკულტურის წარმომადგენლების, ფსევდო მომღერლების, მუსიკოსების, მსახიობების აღზევების ხანა იყო და დღესაც ნაწილობრივ იგივე გრძელდება! ეს გამოჩნდა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზეც, სადაც არაერთი უნიჭო მწერალი წაიყვანეს ნიჭიერების ნაცვლად! ყველა ასპარეზი, განსაკუთრებით ტელევიზიები, მხოლოდ მათ ეთმობათ, რაც, თავისთავად, საზოგადოების ზომბირებისა და მოზარდი თაობის ზნეობრივ-მორალური გადაგვარებისთვისაა გამიზნული!.. ეს კარგად გამოჩნდა ბოლო დღეებშიც!..

თითოეული ჩვენთაგანის ვალია, განგაშის ზარები ჩამოვრეკოთ საქართველოში და ამ საშვილიშვილო საქმეში სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ყველა პარტიის, კულტურისა და ხელოვნების ჭეშმარიტი მოღვაწეები და, მათ შორის, ქართველი მწერლებიც, ერთად უნდა დავდგეთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს სამართლიანობის აღდგენა, რათა ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს სამომავლოდ გაერთიანებული, გაძლიერებული, სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული საქართველო დავუტოვოთ, სადაც ყველა ღირსეულად იცხოვრებს!..

ნაყოფიერად განვლილი დიდი გზა

ასპინძის სკოლა – 85

ასპინძა სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. იგი ძველ ქართულ წყაროებში IX საუკუნიდან – 888 წლიდან მოიხსენიება. საუკუნეების განმავლობაში იქ მრავალი ისტორიული მოვლენა განვითარდა. მათ შორის: 1625 წელს გიორგი სააკაძემ ასპინძასთან სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი. 1770 წლის 20 აპრილს კი ერეკლე II-მ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქებთან ბრძოლაში. 1829 წლის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების შემდეგ იგი ახალციხის მაზრაში შევიდა. ცარისტული რუსეთის ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ასპინძა იყო სოფლის ტიპის დასახლება და ახალციხიდან ახალქალაქამდე ერთ-ერთი საფოსტო სადგური. მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანი იყო.

XIX საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის განათლებას უძღვებოდნენ საქველმოქმედო-საგანმანათლებლო საზოგადოებები. მათ მიერ სამცხე-ჯავახეთში დაფუძნებული იქნა ათობით სკოლა. მიუხედავად ამისა, იმ დროისათვის განათლების სფეროში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ასევე არ იყო საკმარისი სკოლები და პედაგოგთა კადრები.

1947 წელი

სამცხე-ჯავახეთში განათლების სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაართულა პოლიტიკურმა ვითარებამ. მასწავლებელთა ნაკლებობის გამო სკოლებში მეცადინეობა ერთდროულად რამდენიმე ჯგუფთან მიმდინარეობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების მართვა განათლების სახალხო კომისარიატს გადაეცა. შექმნილმა ვითარებამ მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად ტექნიკუმების დაარსების საჭიროება შექმნა. ამასთანავე, საჭირო გახდა ძველი მასწავლებელების იდეოლოგიური თვალსაზრისით გადამზადებაც. სწორედ ამიტომ, 1930 წლის სექტემბრიდან მასწავლებელთა კადრების მომზადების მიზნით ზოგიერთი საშუალო სკოლა პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა.

1930-იან წლებში საშუალო განათლების მქონე მასწავლებელთა კადრების მომზადებისათვის დაარსდა პედაგოგიური სასწავლებელები ახალციხეში, ახალქალაქში, ბორჯომსა და ასპინძაში. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით, ახალციხეში დაარსდა: თურქული სასწავლებელი – 1930-1931 წ.წ.-ში, სომხური – 1930-1940 წ.წ.-ში, თურქულ-სომხური – 1941-1943 წ.წ.-ში და ქართული – 1944-1959 წწ.-ში (1934-1937 წლებში აიგო პედაგოგიური ტექნიკუმის ახალი შენობა). ადიგენში თურქული სასწავლებელი – 1933-1942 წ.წ.-ში, ტოლოშის ქართული სკოლა – 1934-1944 წ.წ.-ში, ასპინძაში თურქული სასწავლებელი – 1941-1943 წწ.-ში, ქართული 1944-1946წწ.-ში, ახალქალაქში: – სომხური 1930-1950 წ.წ.-ში, ქართული 1945-1950 წ.წ.-ში, ბორჯომში ქართული სასწავლებელი – 1934-1940 წ.წ.-ში.

ასპინძის საშუალო სკოლის მასწავლებლები. 1946 წელი

ასპინძაში სკოლის შენობა ააშენეს 1934-36 წლებში და, შესაბამისად, ამავე პერიოდში გაიხსნა თურქულენოვანი სკოლა. შექმნილი იყო ერთი ქართული ჯგუფი, ამიტომ, სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა თურქულ და ქართულ ენებზე (იმ პერიოდში რაიონული ცენტრი იყო ტოლოშში).

1962 წელი

1941 წელს სკოლის შენობაში გაიხსნა თურქული პედაგოგიური ტექნიკუმი. დირექტორად დაინიშნა ნაბი გვილმაბმადოვი. 1943-1944 წლებში კი იყო ნაგიევი. 1944 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენების შემდეგ (სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანების გასახლება) ასპინძაში ქართული პედაგოგიური ტექნიკუმი ჩამოყალიბდა, რომელიც 1944-1946 წლებში ფუნქციონირებდა. მისი პირველი დირექტორი იყო ანიკო ჩიკვილაძე, შემდეგ ნინა ივანიძე.

1946 წელს ასპინძაში პედაგოგიურმა ტექნიკუმმა ფუნქციონირება შეწყვიტა. ასევე გაუქმდა მის ბაზაზე არსებული გონებაშეზღუდულ და ობოლ ბავშვთა ინტერნატი. იგი გადატანილ იქნა ახლციხეში. ასპინძის სკოლა კი საშუალო სკოლად გადაკეთდა.

1962 წელი

დაბა ასპინძაში საშუალო სკოლა დაარსდა 1945 წელს (თავდაპირველად იყო შვიდწლიანი). მოსწავლეთა მიღება განხორციელდა 1945-1946 სასწავლო წელს. დაარსების პირველ წელს მხოლოდ პირველი კლასი გაიხსნა, სადაც მხოლოდ ცხრა მოსწავლე იქნა მიღებული. პირველი მოსწავლეები იყვნენ: ეთერ თედორაძე, ლენა ბერძენიძე და სხვანი. სკოლაში, იმ პერიოდში, მხოლოდ ორი მასწავლებელი ასწავლიდა: ნაბიგულმამედოვა და ლუბა მელიქიძე – ტოლოშის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული. მესხეთიდან და, მათ შორის ასპინძიდან, მუსლიმანი მცხოვრებლების გასახლების შემდეგ ასპინძაში მოხდა ქართველი მოსახლეობის ჩამოსახლება იმერეთიდან და მთათუშეთიდან. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ასპინძის სკოლაში შეიქმნა ყველა კლასი პირველიდან მეათეს ჩათვლით. მოსწავლეთა რაოდენობამ კი 100-ს გადააჭარბა. წლების შემდეგ მოსწავლეთა რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ სკოლის შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნას. მეცადინეობა მიმდინარეობდა ორ ცვლაში. ამიტომ, 1977 წელს, მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაიწყო სკოლის ახალი სამსართულიანი შენობის მშენებლობა, რომელშიც სწავლა განახლდა 1979 წელს (სკოლის ძველ შენობაში განთავსდა სარაიონო ბიბლიოთეკა). ის იყო კაბინეტური სისტემით მოწყობილი. რამდენადაც ასპინძაში 1966 წლიდან ფუნქციონირებდა საბავშვო სახლი, სკოლაში სწავლობდნენ რაიონის სხვადასხვა სოფლის ბავშვებიც. წლების განმავლობაში სკოლასთან არსებობდა ღამის სკოლაც. 1998 წელს, მიწისძვრისაგან დაზარალებულ სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი.

1966 წელს ასპინძა რაიონულ ცენტრად გადაკეთდა. შესაბამისად სკოლას ეწოდა „დაბა ასპინძის საშუალო სკოლა“. 1976 წელს კი ასპინძის რაიონთან ერთად დაჯილდოვდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის დიპლომით.

სკოლის დირექტორები იყვნენ: ნაბი გვილმაბმადოვი, ნაგიევი, ანიკო ჩიკვილაძე, ნინა ივანიძე, დიმიტრი ხუხუა, ივანე გიქოშვილი, ზაქარია მონადირაშვილი, ქართლოს ედილაშვილი, გიორგი წეროძე, ოთარ ცინაძე, ნიკოლოზ დიასამიძე, აბრამ ზაზაძე, დუდუშა ცინაძე, ანო სუდაძე, ავთანდილ ლეკიშვილი, როზა ნარიმანიძე, ნიკოლოზ ბერიძე, როზა ნარიმანიძე, ტრისტან მურადაშვილი, რობერტ შეშაბერიძე, თემურ ველიჯანაშვილი, კლარა ზედგინიძე.

სკოლას ჰყავდა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები: აბრამ ზაზაძე, ნიკოლოზ დიასამიძე, სტეფანე მამუკაშვილი, ავთანდილ ლეკიშვილი, დავით ზედგინიძე, ბაბულია ჯომარდიძე, ეკატერინე მელიქიძე, ანო სუდაძე, ნანი კუკავა, ლუბა ბრეგაძე (მუშაობდა ქიმიის პედაგოგად და დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენითა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით).

წლების განმავლობაში თავისი აქტიურობით გამოირჩევა ქართული ენისა და ლიტერატურის წრის მუშაობა. ათობით მოსწავლეს აქვს მოპოვებული პირველი ხარისხის დიპლომი. სამ მოსწავლეს: კულუმბეგოვას, ველიჯანაშვილს და ბერიძეს საქართველოს პრეზიდენტისაგან გადაეცა ფულადი ჯილდო. მათ ხელმძღვანელს ნანი კუკავას კი დაენიშნა ერთი წლის განმავლობაში ორასლარიანი ყოველთვიური ჯილდო, არის ღირსების ორდენოსანი და უმაღლესი კატეგორიის წოდების მქონე მასწავლებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასპინძის სკოლაში, არსებობის პირველ ათწლეულებში, მასწავლებელთა უმრავლესობა იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი. ისინი წლების განმავლობაში ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მათი ნაწილი სამუდამოდ დარჩა საცხოვრებლად მესხეთში.

სკოლას ასევე ჰყავს აღზრდილი მრავალი სახელოვანი ადამიანი – მეცნიერებისა და კულტურის, სასოფლო მეურნეობისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს დარგის მუშაკები. ისინი წარმატებულად მოღვაწეობენ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. სკოლის წარმატებებზე ისიც მეტყველებს, რომ მას ამჟამინდელი მდგომარეობით ჰყავს ასზე მეტი ოქროს მედალოსანი და რამდენიმე ათეული ვერცხლის მედალოსანი.

ასპინძის სკოლას მრავალი ღირსშესანიშნავი დღე ახსოვს. მათ შორის გამორჩეული იყო 1999 წლის 5 ოქტომბერი. იმ დღეს ჩატარდა მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი საღამო. ღონისძიებას დაესწრნენ სკოლის ყველა დროის მასწავლებლები და მიწვეული სტუმრები. რაიონის გამგებელმა და პარლამენტის სპიკერმა ორდენები გადასცეს ოთხ მასწავლებელს: აბრამ ზაზაძეს, ბაბულია ჯომარდიძეს, სტეფანე მამუკაშვილსა და ანა სუდაძეს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას მხოლოდ არსებობის 85 წელი შეუსრულდა, მან უდიდესი როლი შეასრულა არამარტო დაბა ასპინძის, არამედ ასპინძის რაიონის მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურების საქმეში. იგი არის რესპუბლიკაში ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული სკოლა.

P.S. ასპინძის სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებს, კურსდამთავრებულებს და საერთოდ ასპინძელებს ვულოცავ სკოლის იუბილეს.

ვუსურვებ წარმატებებს და თავიანთი მისიის ღირსეულად განხორციელებას.

ნატო ყრუაშვილი

„ვერ გადააშენეს...“

(მოგონებანი გარდასულ „დღეთა“ – პოეტ ალექსანდრე ტაბატაძის ლექსი „ქართული გვარები“)



მეგობრის მიერ გამოგზავნილმა „ლიტერატურული მესხეთის“ 2019 წლის მარტის ნომერმა დიდ სიამოვნებასთან ერთად დიდი ტკივილიც გააღვიძა ჩემს სულში, რომ ქართველ საზოგადოებას უკვე თხუთმეტი წელია აღარ ამშვენებს სიტყვითა და საქმით ერთი კარგი ქართველი, ჩვენი მშობელი ქვეყნის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე სმენაგამახვილებული ვაჟკაცი, ჩვენი ალექსანდრე ტაბატაძე, რომელსაც ადვილად მიმართვისა და, უფრო მეტად კი, სიყვარულისთვის, „ალტას“ ვეძახდით. ქართულ ენასა და ქართულ მადლიან სიტყვაზე უსაზღვროდ შეყვარებული სასახელო ადამიანი, სწორედ ქართული ენის დღეს, 2004 წლის 14 აპრილს განშორდა სამზეოს და მარადიულ უკვდავებას ეზიარა...

ალექსანდრე ტაბატაძე, როგორც სტუდენტი, ნამდვილად ამშვენებდა ქართველთა პედაგოგიური განათლების ერთ-ერთ გამორჩეულ კერას – ქალაქ გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და სწავლამოწყურებულ თანატოლებს. საკუთარი ინტერესითა და შემართებით სათანადო პატივისცემას იმსახურებდა ლექტორ-მასწავლებელთაგან, ხოლო მისი პოეზია ჩვენს სულებს მიუწვდომელთან მიწვდომას უადვილებდა, აფაქიზებდა, სიკეთესა და სათნოებას აზიარებდა...

ამ პატარა საგაზეთო წერილში მინდა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვა, რომ „ლექსი თვით მკვდრეთითაც აღადგენს“ ავტორს...

***

ჩემი სტუდენტობის პერიოდში (1957-1962) ნამდვილად დიდი გატაცება ამოძრავებდათ ახალბედა პოეტ-სტუდენტებს, იქმნებოდა პოეტური სიტყვის ისეთი მარგალიტები, რომლის ავტორობასაც აღიარებული მესიტყვეებიც ვერ დაიწუნებდნენ. ინსტიტუტის სალიტერატურო წრის ქურუმი იყო ცნობილი მწერალი, სტუდენტთა საყვარელი ლექტორი და საიმედო მრჩეველი, ბატონი ოთარ ჩხეიძე (მშვიდობა მის წმინდა სულს!). სწორედ მისი რადაქტორობით (სარედაქციო კოლეგია: დოც. ნიკოლოზ გუგუშვილი, დოც. სიმონ გაჩეჩილაძე, ჯემალ ინჯია, ლევან ფრუიძე, ლერი ბეგიაშვილი, აკაკი ბიძინაშვილი) 1958 წელს გამოიცა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სალიტერატურო წრის ალმანახი „მერანი“ (მეორე ნომერი). ალმანახი ძალზე საინტერესო მასალებითაა წარმოდგენილი. ამჯერად კი მინდა ყურადღება შევაჩერო ალექსანდრე ტაბატაძის ერთ უმშვენიერეს ლექსზე და იმ პატარა ეპიზოდზე, რომელმაც ამ ლექსს კვლავ შემახვედრა და დიდ სიამოვნებასაც მაზიარა... ეს არის ალტას ლექსი „ქართული გვარები“, რომლის სრულ ტექსტსაც აქვე გთავაზობთ:

„ჩვენს საქართველოში, ჩვენს ლამაზ მხარეში
მტრის ხროვა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოზვავდა,
რამდენჯერ ყოფილა რბევა და თარეში
ყივჩაღთა, მონღოლთა, ლეკთა და ოსმალთა,
რამდენჯერ დაანთეს ომების ხანძარი,
რამდენი სახლი და სასახლე ჩაბუგეს,
ქარს ქროლვით მიჰქონდა ფერფლი და ნაცარი,
სტამბოლში ჰყიდიდნენ ქალებს და ჭაბუკებს...
გვებრძოდნენ ყველგან და გვებრძოდნენ ყველაფრით,
ვერ მოგვსპეს ვერც ცეცხლით, ვერც სისხლის ღვარით,
ჩვენს საქართველოში ვერასგზით, ვერაფრით,
ვერ გადააშენეს ქართული გვარები
ვეფხვაძე, მჭედლიძე, ლომსაძე, დევიძე
ვეფხვივით, ლომივით, დევივით იბრძოდნენ,
სამშობლოს სახელით იწვოდნენ, იღვწოდნენ
და მამულისათვის დაღლა არ იცოდნენ.
მტრებმა ვერ მოგვსპეს და ვერ გადაგვაშენეს
და საქმე მრავალჯერ გაუხდათ სანანი,
რადგანაც მამულში იყვნენ და იბრძოდნენ:
ხმალაძე, ვეფხვაძე და სხვა მისთანანი!“

*

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჩემს რაიონში, ხარაგაულში, შევუდექი პედაგოგიურ მოღვაწეობას. აღნიშნული ლექსი რამდენიმე ეგზემპლარად გადავწერე და ჩემი რაიონის ყველა იმ სკოლას გავუგზავნე, სადაც ამ გვარისანი ცხოვრობდნენ...

ძალიან ხშირად მეხმაურებოდნენ და მემადლიერებოდნენ მასწავლებლები, რომლებიც პატრიოტული აღზრდის დილა-საღამოებზე იყენებდნენ ამ ლექსს...

*

გასული წლის ნოემბრის თვეში დედაქალაქში შვილებთან მივემგზავრებოდი. ჩემ პირდაპირ ერთი მშვენიერი ყმაწვილი იჯდა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო კარგი ქცევითა და სასიამოვნო მსჯელობით. დავინტერესდი და გვარი ვკითხე:

– ვეფხვაძე! – გარკვეული სიამაყით მიპასუხა ახალგაზრდამ.

– თუ ნამდვილი ვეფხვაძე ხარ, მაშინ ერთი ლექსი მაინც გეცოდინება, რომელშიც ეს გვარია ნახსენები.

ყმაწვილმა გაბრწყინებული თვალები მომაპყრო, წამიერად ჭკვიანურად ჩაფიქრდა და მითხრა: – რატომაც არა, აღვიდგენ გონებაში და მოგახსენებთ...

დამერწმუნებით, რა გრძნობა დამეუფლებოდა, როცა მართლაც ვეფხვის შემართებით ალტას „ქართული გვარები“ წაგვიკითხა მეც და თანამგზავრებსაც.

ეს ყმაწვილი ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლე, შოთა ვეფხვაძე, აღმოჩნდა. მან ლექსთან დაკავშირებული ეპიზოდიც გაიხსენა: – მესამე კლასში რომ ვიყავით, ლემა მასწავლებელმა მოგვამზადა ღონისძიებისათვის – „ვისი გორისა ხარ„? მე, როგორც ვეფხვაძეს, ეს ლექსი მარგუნა. წარმატებული იყო ის სასკოლო ღონისძიებაც და მის შემდეგ ეს ლექსი ჩემი მუდმივი თანამგზავრია. იგი მთელ ჩემს სანათესაოს გავუზიარე – სად აღარ ცხოვრობენ ჩემი საამაყო გვარის შვილები!

ვფიქრობ, კომენტარი საჭირო აღარაა. დარწმუნებული ვარ, ამ ლექსს სიამაყით წარმოსთქვამენ ხმალაძეები, მჭედლიძეები, დევიძეები, ლომსაძეები... და არა მარტო ისინი...

და სხვა რაღაა ლექსის ძალა? განა ეს ძალა ლექსის ავტორის უკვდავების გარანტი არაა? და კვლავ მინდა პატარა ამონარიდით დავასრულო ჩემი სათქმელი:

„როდესაც ლექსს ვწერ,
საოცარი ძალა მაქვს მკლავში...
ლექსის წერის დროს
ვგევარ ველად გავარდნილ მხედარს...„

მენანება, რომ ამჯერად, გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, თავს ვიკავებ ალექსანდრე ტაბატაძის ძალზე საინტერესო ლექსის „როდესაც ლექსს ვწერ“ სრული ტექსტის მოწოდებაზე.

„ვერ მოგვსპეს, ვერ გადაგვაშენეს, ვერ გადააშენეს ქართული გვარები“... ეს კი იმის სრული გარანტიაა, რომ ალექსანდრე ტაბატაძე, ჩვენი ალტა, კვლავ ჩვენ გვერდითაა, კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს... თავისი ჭეშმარიტი პოეზიით, თავისი ქართველობით...

მერი გიორგიძე,
დ.ხარაგაული

ჰოეზიის დღესასწაული

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“... ბრძანებს დიდი ილია და პოეტის დანიშნულებას ქვეყნის საქმეში ამით გამოხატავს. ზოგადად, მწერლის როლი საზოგადოების სულიერ განვითარებაში რომ განუსაზღვრელად დიდია, ეს აქსიომაა, თუმცა დღევანდელი შეჭირვებული ცხოვრების გამო, ვერც პოეტს მიაქვს ისე ძალუმად თავისი სიტყვა ხალხთან და არც ხალხს ესმის პოეტის სიტყვის ფასი.

სამწუხაროდ, დღევანდელი ცხოვრების დამახასიათებელი თვისება ესაა და, ალბათ, არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც სიტყვის ძალას მეტი ფასი დაედება, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთა „შეგონებებს“!

საბედნიეროდ, აქა-იქ, კვლავაც გამოკრთიან ჩვენი სულის მასაზრდოებელნი, რომელთა ჭეშმარიტი ნააზრევი დიდხანს თან გვდევენ, მათგან მონიჭებული განცდილი სიამოვნებით დაგვატარებენ და შეგვახსენებენ, ვისი გორისანი ვართ. ამიტომაც გვჯერა და გვწამს, რუსთაველის ქვეყანაში არამც და არამც პოეზიის ძალა არ მინავლდება, რადგან ქართველ კაცში იყო, არის და იქნება პოეზიის სიყვარული, როგორც სიყვარული რუსთაველისა და საქართველოსი.

ეს განცდა კიდევ უფრო განგვიმტკიცდა იმ დღეს, როდესაც ვალის N1 საჯარო სკოლამ ერთი ლამაზი და დასამახსოვრებელი პოეტური საღამო აჩუქა დამსწრე საზოგადოებას – შეხვედრა მოუწყო სამი თაობის ადგილობრივ შემოქმედს, – მხცოვან პოეტს, დამსახურებულ პედაგოგს, **ვახტანგ მელიქიძეს,** რომელმაც სულ ახლახან კიდევ ერთი საინტერესო კრებულით გაგვახარა; ამავე სკოლის კურსდამთავრებულს, შესანიშნავ პოეტსა და მეცნიერს **ციური ასპანიძე-მესხიშვილს** და ახალგაზრდა პოეტს **სოფიო ჩიტაშვილს.**

საკუთარი შემოქმედების თაობაზე ვრცლად და შთამბეჭდავად ისაუბრეს თავად პოეტებმა, რომლებმაც მასპინძლებს გააცნეს ბოლო პერიოდში მათ მიერ დაწერილი ლექსები, გაიხსენეს საკუთარი ცხოვრებიდან ბევრი დეტალი, მათ მიერ განვლილი შემოქმედებითი მოღვაწეობის საინტერესო მოვლენები. თუმცა სხვა ელფერი შესძინა მთელ შეხვედრას ციური ასპანიძემ, რომლის მიერ ემოციურად ნაკითხულმა ლექსებმა, სასკოლო პერიოდში თავს გადახდენილმა კურიოზულმა ამბებმა, პედაგოგებთან დაკავშირებულმა მოგონებებმა, მოწვეული სტუმრებიც გაახალისა, სკოლის მოსწავლეებიც და პედაგოგ-აღმზრდელებიც. მისმა თითოეულმა ლექსმა, თარგმანმა, ისეთ ექსტაზში შეიყვანა საზოგადოება, რომ ყველას საკუთარი აზრის გამოხატვის სურვილმა სძლია და განსაზღვრულმა საათნახევრიანმა ღონისძიებამ თითქმის სამ საათს გასტანა. ბევრს ცრემლებიც კი მოერია და შეხვედრა ნამდვილ დღესასწაულად იქცა, ზოგიერთ მასწავლებელსაც სძლია შინაგანმა გრძნობებმა და „გამოამჟღავნა“ თავისი პოეტური ნიჭი.

ძნელია იმ განცდების გამოხატვა, რომელიც, ალბათ, დიდხანს ტკბილ მოგონებად გაჰყვება თითოეულ იქ მყოფს და, რომლისგანაც მიღებული სიამოვნება პოეტური სულის კაშკაშა ნათების გრძნობას გააღვიძებს მათში. აქ წაკითხულმა ლირიულმა თუ პატრიოტულმა ლექსებმა, დიდი სიყვარულის ძალით დამუხტა თითოეული მსმენელი. თავიანთ გამოსვლებში კი ამას ხაზგასმით აღნიშნავდნენ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მუნიციპალიტეტებთან მუშაობის განყოფილების უფროსი **ეკატერინე ორჯონიკიძე,** ახალციხის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი **ზაზა თამარაშვილი,** საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ხათუნა ხმალაძე,** შეხვედრის ორგანიზატორები – სკოლის დირექტორი **ირა გიორგაძე** და დირექტორის მოადგილე **ნანა კუსიანი,** პედაგოგები **– მარინა გოზალიშვილი, დალი ჩიტაშვილი, მზია ლეკიშვილი,** ნორჩი შემსრულებლები **დიტო ნადირაძე, მარიამ სამარჯიშვილი, ნინი გიორგაძე, ასმათ გოზალიშვილი, ციალა მანველიშვილი** და სხვები.

მათვე დიდი სურვილი გამოთქვეს, რომ მსგავსი ღონისძიებები სისტემატურად გაიმართოს და სკოლის დარბაზიდან დიდ აუდიტორიაში გადაინაცვლოს.

ავთანდილ მესხი

კულტურა

იუბილე

„მფრინავი ტორპედო“ 85 წლისაა

ქართული სპორტის რაინდს, ბაკურიანელ ტრამპლინიდან ლეგენდარულ მხტომელს – „მფრინავ ტორპედოდ“ წოდებულ კობა წაქაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

ვეტერან სპორტსმენს საიუბილეო თარიღი მიულოცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, გადასცეს მადლიერების სიგელი, ფასიანი საჩუქრები.

ბატონი კობა, როგორც ყოველთვის, 85 წლის ასაკშიც ენერგიულად გამოიყურება და მიუხედავად იმისა, რომ რვა ათეულ წელს კარგახანია გადაბიჯა, კვლავაც იმის იმედით ცოცხლობს, რომ ბაკურიანშიც და სრულიად საქართველოშიც სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში კვლავაც გაიზრდებიან მომავალი წაქაძეები.

იმედი ნუ მოუშალოს ამაგდარ, ღვაწლმოსილ და ძალზე თავმდაბალ ქართველ „მფრინავ ტორპედოს“.

ისტორიული შენობა რეაბილიტირებული იქნება

როგორც იქნა, საშველი დაადგა ბორჯომში, კავალერიის ისტორიულ შენობის რეაბილიტაციის დაწყებას.

შენობა, რომელიც ბორჯომ-პარკის რკინიგზის ვაგზლის მიმდებარედ მ.კოსტავას სახელობის ბაღში დგას, თითქმის სამი ათეული წელი ელოდა რეაბილიტაციას და სანამ დანგრევის პირას არ მივიდა, თავი არავის გამოუდია.

ამას წინათ ბორჯომის მუნიციპალიტეტში გაიმართა საქართველოს მუნიციპალური ფონდის წარმომადგენლების შეხვედრა ქ.ბორჯომის საზოგადოების წარმომადგენლებთან.

შეხვედრა მიეძღვნა ბორჯომში კავალერიის ისტორიული შენობის რესტავრაცია ადაპტაციის პროექტის განხილვას.

პროექტის თაობაზე საზოგადოების წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდეს მუნიციპალური ფონდის გარემოს დაცვის, ბენეფიციარებთან ურთიერთობის და სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტებმა ნინო ისაკაძემ, ნუცა გუმბერიძემ და ნონა ჭიჭინაძემ.

პროექტის მთავარი არქიტექტორია მერაბ ბოჭორიძე, არქიტექტორები არიან ნ.ცინცაძე და ლ.შარტავა.

შენობის რესტავრაცია უნდა დამთავრდეს 2021 წლის თებერვალში.

აღდგენილი შენობა მრავალფუნქციური იქნება და ადაპტაციის შემდეგ აქ გაიხსნება გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი.

სტუმრებმა ამომწურავი პასუხები გასცეს მრავალრიცხოვან კითხვებს.

თოჯინების სახელმწიფო თეატრი ემზადება

ბორჯომის სახელმწიფო თეატრი წარმატებულ შემოქმედებით მოღვაწეობას განაგრძობს. აქ დადგმულ თითოეულ სპექტაკს ნორჩი მაყურებელი არ აკლია.

ზაფხულის საკურორტო სეზონისთვის თეატრმა, მისმა ნიჭიერმა დასმა, რეჟისორის შალვა გოგოლაძის ხელმძღვანელობით, აქტიურად დაიწყო მუშაობა. მრავალფეროვან რეპერტუარს დაემატა ახალი სპექტაკლები. თბილისიდან მოწვეულია ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი, რომელიც ბორჯომში ახალი სპექტაკლის დადგმას აანონსებს.

მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ინფრასტრუქტურიდან დაწყებული ფინანსებით დამთავრებული, თეატრის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ 2019 წლის ზაფხულიდან საკურორტო თეატრალურმა სეზონმა წარმატებით ჩაიაროს და ნორჩ მაყურებელთა გულები გაახაროს.

თემურ ხუხუნაიშვილი

ძველი ქორწინების წესები ერკოტაში

ძველად არც ვაჟმა იცოდა რომელი ქალი უნდა შეერთო და არც ქალმა. უფროსის რჩევით თხოულობდა ბიჭი ქალს და ქალი მიზდევდა ვაჟს. დიდი სირცხვილი იყო, რო ვაჟი მისულიყო ქალთან და ბეჟ გეეცვალა. ბეჟ უნდა გეეცვალათ უფროსებს. ვაჟი და ქალი ვერ იცნობდნენ ერთმანეთს და ჯვრის წერამდე ვერც ნახავდნენ. ბეჟ ს გაცვლის მერე ვაჟის პატრონი ქალის ოჯახში მიიტანდა ნიშანს (ქალისთვის ტანსაცმელს, პურმარილს, არაყს), თან წაიყვანდა ახლო ნათესავებს. ეს იყო ქალის ნახვისთვის წასვლა. იქ იქეიფებდნენ. ქეიფის დროს ერთი ვინმე ქალი სიმღერით შემოიყვანდა საპატარძლოს, დაატარებდა და სტუმრებს ყველას დააკითხებდა (ე.ი. ხელზე მთხვევით მიესალმებოდა ყველას), მერე ეს საპატარძლო მამამთილს დაადგებოდა თავზე და ასე იდგა ფეხზე. იმ დროს ჯერ მამამთილი და მერე იმისი მხლებლები საჩუქარს გადაიხდიდნენ პატარძლის შემომყვან ქალისთვის. ქეიფის შუა ხანს ჩამოივლიდა სინით და იტყოდნენ:

–აბა, გადასახადი მოსულა მოყვრებზე. ვაჟის მხრის მოყვრები გადიხდიდნენ საჩუქარს პატარძლის სასარგებლოდ (ყველაზე მეტს გადაიხდიდა მამამთილი, ან სიძის პატრონი), ფულს, ძვირფას ნივთებს, რამეს. მას ჰქვია ნიშნობა. როცა დაბრუნდებოდნენ მოყვრები სახში, წამოიღებდნენ პატარძლის მორთმეულ საჩუქრებს (წინდებს, ხელთათმანებს, ქესას, პაჭიჭს და სხ.). პატარძლის საჩუქარი ყველა მოყვარეს ერგებოდა. წამოსვლის დროს სხვა საჩუქრებსაც გამოატანდნენ, ხურჯინში ჩაუტოვებდნენ სიძის ოჯახის წევრებისთვის.

ამის მერე დაიწყებოდა გადასაწყვეტი: ერთი კვირით, 10 დღით ადრე, სანამ ქორწინებას დაიწყებდნენ, სიძის პატრონი წაუღებდა ქალის ოჯახს ნახევარ ცხვარს თავისი პურით, არაყით, სუფრის მომკობილობით, ამავე დროს პატარძალს წაუღებდნენ ლოგინის გადასაკრავს, საქორწილო ტანს და დაუთქვამდნენ დროს, თუ რა დროს გაიმართოს ქორწინება. დათქვამდნენ ერთ დღეს. დაბრუნდებოდა სიძის პატრონი სახში და დაიწყებდა ქორწილის თადარიგს, დაპატიჟებდა თავის ნათესავებს, მეზურნეებს დაიქირავებდა, წავიდოდნენ დათქმულ დღეს ქალის ოჯახში, მოკმაზებდნენ სიძეს და თან გაჰყვებოდნენ მაყრები (20-30 კაცი) ცხენებით.

მაყრებს ჰყავდათ თავეთი ხელმძღვანელი მაყარბაში. მაყარბაში წინდაწინ გაუშვებდა მახარობელს. სოფელში რო შევიდოდა, დაუშენდნენ ქვას, თოვლა-გუნდს, წივის ნატეხებს (რო არ ეცემათ მახარობელი, მოსავალი კარგი არ მოგვივაო), შევიდოდა მახარობელი სახში და ეტყოდა:

მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
მოგვყავს სიძე ლამაზი,
დაგვიცალეთ დარბაზი.

მახარობელს მოსთხოვდნენ ნიშანს, იქნება შენ სხვა კაცი ხარო. მახარობელი ამოიღებდა უბიდან ქადას. ასმევდნენ არაყს ჯამით, რო ყოჩაღი წელიწადი მოგვივიდესო. მახარობელი დაილოცებდა, დალევდა, ჯამს დაარტყამდა და იტყოდა: მტერი დეგემტვრეთ, ესეო. მახარობელი საჩუქრად ერთ წყვილ წინდას აიღებდა. გამზადებული იყო შამფურით წვადი, ზედ ორი ლავაში პური და ოჯახის პატრონთან ერთად გაეგებებოდნენ ქორწილს. წვადი მახარობელს ეჭირა, ოჯახის უფროსი ჩამოასხამდა არაყს და მახარობელი მაზას[1] აწვდიდა. დალევდნენ ყველა. როდესაც შევიდოდნენ ქალის ოჯახში (სიძეს ნათლია ახლდა გვერდით) ქალის მამა ან უფროსი მოიყვანდა სიძესთან ქალს და ეტყოდა: აი, ჩემი ქალის ეს არის, გსურს თუ არაო? ბიჭი თავს დაუკრავდა (ხმას არ გაიღებდა). მაშინ კიდევ ეტყოდა სიძეს: აი ეს შენი ამანათი და შენ ხვთის ამანათიო, ნახოთ, როგორ შეინახამ ჩემ ქალიშვილსაო, გაგაბედნიეროთ ღმერთმაო და ხელიხელს მოაკიდინებდა. ამ დროს თუ ქალი გაბედილი იყო, ბიჭს ფეხზე ფეხს დაადგამდა, თუ არა და ვაჟი მოასწრებდა და ეტყოდა: ჩემი გუნებისა გამოდიო. ამის შემდეგ წავიდოდნენ ეკლესიაში ჯვრის დასაწერათ. დაიწერდნენ ჯვარს და ეკლესიიდან დუდუკის დაკვრით და ჭიდაობით მოვიდოდნენ ქალის ოჯახში. გაიმართებოდა ქორწინობა, ლხინი, ქეიფი. იმ ღამეს ათენებდნენ. დილით ოჯახის პატრონი დააყენებს აჯლაზე მეფე-პატარძალს ნათლიათი და მაყრებით ერთათ. თავისიდან ქალის ზითებ გამოიტანს. ამოირჩევენ ერთ მოხერხებულ, ენამეტყველ კაცს და ეს კაცი ასე იტყვის:

დიდება ღმერთსა, მოწყალესა,
ოჯაღსა, ოჯაღის პატრონსა,
სტუმარსა და მასპინძელსა,
მეფესა და პატარძალსა.

გააბედნიეროს ღმერთმა, ერთ სასთუმალზე შეაბეროს. სმენა იყოს, მაყრებო, ყურადღება. აი რა ვიშოვე და ვიპოვეო. ასახელოს ღმერთმა ჩვენი ოჯაღის პატრონი, ჩვენი ევგენ მოყვარეო (ან სხვა სახელს იტყვის), თავის ქალიშვილს ზითად ატანს – ერთი ჭილოფი, ნაბადი, ფარდაგი, ლოგინი, ბალიშები, საბანი, კიდობანი და სხვა, ტანთი, ფეხთი (ჩამოთვლის ყველაფერს), როცა ზითები დამთავრდება, ოჯახის ნათესავები, ვინც ქორწილში არიან დაპატიჟებულები. მერე ისინი გამოიღებენ ჯიბიდან საჩუქარს (სანიჭარს). შემდეგ მოჰყვებოდნენ მეზობლები, თან დაიძახებდნენ: ასახელოს ღმერთმა, ასახელოს! ზითებ შეკრამდნენ მაყრები და ჩააბრიდნენ მეჯეიზეს (მოქირავეს), რომელიც კურტნიანი ცხენით წაიღებდა, ფულს კი ჩააბრიდნენ სიძეს.

ოჯაღის პატრონი (ან ქალის ძმა) დაჯდებოდა ზითის კიდობანზე და თხოულობდა საჩუქარს. დაიძახებდნენ ამასაც (მოყვარემ კიდობანზე ამდენი გადაიხადა საჩუქარიო), გადაკოცნიდნენ ერთმანეთს მოყვრები, მოულოცავდნენ ერთმანეთს და გაიშლებოდა დილის სუფრა.

შუა ქეიფის დროს სიდედრი სიძეს გაუგზავნიდა საჩუქარს, ის საჩუქარი რჩებოდა ფარულად (არ დაიძახებდნენ), სიძის მამა, ან ძმა გადაიხდიდა ქალის დედის ან დედა თუ არ ჰყავდა, გამზრდელის სასარგებლოდ (ფულს ან საკაბეს). ამრიგობით ქორწილი (ქალიანთ სახლში) დამთავრდებოდა და წამოვიდოდნენ ვაჟის სახლში. გზაში პატარძალსა და მეფეს შუა არავის არ უნდა გაევლო (აკრძალული იყო, რო ვერ გაიხარებენო) თუ გზაში სხვა ქორწილი შემოეყრებოდათ, ცდილობდნენ, რო ზეიდან გაევლოთ. უხდებოდათ ორივე მხარეს ჩხუბი. ზოგჯერ, შეგნებულ ქორწილებში მორიგდებოდნენ, პირდაპირ მოიკითხებდნენ ერთმანეთს, არყით დალოცავდნენ და წავიდოდნენ.

რო დაახლოვდებოდნენ ვაჟის ოჯახს, წავიდოდა მახარობელი პატარძლის მაყრებიდან. მახარობლის გაგზავნა-მიღება იმნაირივე წესით ხდებოდა, როგორც მეფის მახარობლის. შეხვდებოდნენ კარზე მეფე-პატარძალს, იქ დაბმული ჰქონდათ წინდაწინ ქალებს და ვაჟებს ფერხული, დაუკრავდნენ ზურნას და დაიწყებდნენ თამაშს. სამჯერ შემოუვლიდნენ, ჩამოიყვანდნენ პატარძალს ცხენიდან და დააყენებდნენ დამხობილ ქვაბზე. მერე ნათლია წაიყვანდა სიძეს და პატარძალს. მაყრები ამ დროს ამოღებულ ხანჯლებით დაადგებოდნენ თავზე, კარების გასაყარზე სცემდნენ ხანჯალს და ყვიროდნენ: – ჩამოდექით! ჩამოდექით!

ოჯახიდან ახალგაზრდა ქალიშვილი დახვდებოდა და კარებში შეკმაზილ სუფრით, ზედ სამი ნატეხი შაქარი იყო, ჰალვა, პური და არაყი. შაქრებს ეს ქალიშვილი ჩამოურიგებდა ნათლიას, მეფეს და პატარძალს: ასე ტკბილად დაბერდიო. მეფე-პატარძალს სიმღერით შეიყვანდნენ ოჯახში:

მოგვყანს და მოგვიხარია,
წითელ-ყვითელი პეპელა,
ნეტავი ნეფის დედასა,
ვარდნი უსხედან კერასა,
ნეტავი პატარძლის დედასა,
თაგვნი უსხედან კერასა.

მეფეს, პატარძალს და ნათლიას შემოუროვინებდნენ სამჯერ ერბოთი სამსე ქოთანს. პატარძალი ყოველ შემოვლაზე თითოჯერ ხელს დაადებდა ქოთანს, შემდეგ ავიდოდნენ აჯლაზე. აჯლა ეს არის საქვე (ტახტი) მაღლა გაკეთებული, შეკმაზილი მეფე-პატარძლისთვის და დადგებოდნენ ფეხზე. ყველა ნათესავი და ნაცნობი მივიდოდნენ და ულოცამდნენ ნათლიას და მეფე-პატარძალს ჰკოცნიდნენ. პატარძალი ყველას ხელზე ემთხვევა. ამის მერე დაიწყებოდა კიდე ქორწინობანა. ყველაზე წინ მოვიდოდა ნათლიის შეკმაზილი სუფრა, ზედ საჩუქრებით. მერე ამას მოჰყვებოდა ნათესავების და მეზობლების სუფრები. თუ ოჯაღი ღარიბი იყო, იმ ღამესვე მოათავებდა სანიჭარს, ჩამოივლიდა სინი და იტყოდნენ: ვარჯი მოვიდა გადასახდელის. ყველაზე წინ ნათლია დასტოვდა სინაზე ფულს, მერე სხვები მოყვებოდნენ (სანიჭარი ქორწილის დაბოლოების ნიშანი იყო).

თუ ოჯაღი მდიდარი იყო, ქორწილი გრძელდებოდა სამ დღეს და უფრო მეტსაც. ქორწილის მეორე დილით მეფეს გაიყვანდნენ „სანადიროდ“, გაჰყვებოდნენ ყველა მაყრები (კაცები), მოპატიჟეები და ახლო მეზობლები მოიყვანდნენ თითო ქათამს, მერე მაყრები დაერეოდნენ და ხანჯლებით დახოცებდნენ ქათმებს, იტყოდნენ: – ასახელოს ღმერთმა, მეფემ კარქა ინადირაო.

ქორწილის დაბოლოებისას პატარძლის მაყრები მალულად დაასაჩუქრებდნენ პატარძალს, ტირილით დაემშვიდობებოდნენ და წავიდოდნენ სახლში. ამის მერე, როცა ქორწილი დაიხურებოდა, მეფე-პატარძალს ერთად დარჩენის უფლება ჰქონდათ. აწვენდნენ მორიდებით სხვა ოთახში. ადგომის დროს სიძე ლოგინში ფულს ჩაჰყრიდა და ლოგინის დამგების სასარგებლოდ (ვინც ლოგინს დააგებდა, იმას დადეს ეძახდნენ).

ბევრი პატარძალი სამ წელიწად უმძრახად რჩებოდა.

დამატება: როცა სახლიდან მაყრებს მეფე მიჰყავდათ პატარძლის სახლში, მაშინ ასე მღეროდნენ:

ღმერთმა ხელი მოგიმართოს,
დღე მოქცეს და დარი კარგი,
სამოთხისა კლიტე მოქცეს
სულ თვალი და მარგალიტი.
ყელი მიგიგავს წეროსა,
გამჩენმა ჯვარი გწეროსა.

ქორწილის ბოლოს შვიდ წყვილ ფერხულ დააბემდნენ.

ფერხულში ჩაბმულნი იყვნენ შვიდი წყვილი ცოლ-ქმარი (მეფე-პატარძლის ჩათვლით) და შვიდჯერ შემოუვლიდნენ სახლს.

ჩამაწერინა **დიმიტრი ბერიძემ**, 46 წლის, სოფელი ერკოტა. ჩაიწერა **ილია მაისურაძემ** 1937 წელს
ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი

[1] არაყს რო გადაჰკრავდნენ და მერე რამე საჭმელს მიატანდნენ, იმას ჰქვია მაზა.

დურმიშხან ბერიძე

თაგვის სიზმარი

იგავი

თაგვი სოროში არ შეძვრა,
ზიდა და ზიდა თავთავი,
მერე მიდამოს გახედა,
მდიდარი ვარო, ამ თავით!
რა ვუყო, თუკი თაგვი ვარ,
მაქვს ფულიც, ძალაც,
დიდებაც,
შენი მზე ჩადის, ძამია,
ჩემი თანდათან ბრწყინდება.
მთაზე ავიგებ სასახლეს,
იმ მხარეს, გავთხრი სოროსა,
გავეჯიბრები სიმდიდრით
დუბაისაც და სოროსსაც.
ამოვიტენებ ხორაგით
ჩემ გამოფიტულ დარბაზებს,
სახელს გავითქვამ სიმდიდრით
სამყაროს ავაზანზარებ.
ამომიძირკვეთ ყოველი,
ძეგლი დადგმული გორებზე,
მე გამეტოლეთ სიმაღლით,
ვიდრე ცის თავზე გოდებს მზე!
ღმერთმა დამბადა პატარა,
დრო-ჟამმა მომცა დიდება,
გაიგეთ, თქვენი მზე ჩადის,
ჩემი თანდათან ბრწყინდება.



„რა განწირულია კაცი, როცა მას ჭატიოსნების მეტი არაფერი გააჩნია“.

ლესინგი

ფოლკლორი

როგორ შეაშინა ცოლმა ქმარი

ერთ კაცმა შეიყვარა სხვა ქალი. მას ცოლმა გაუგო და ეჩუბებოდა, დაანებე თავი მაგ გახრწნილ გზასაო.

კაცი მაინც არ იშლიდა.

მოახლოვდა შემოდგომა, ყველა გლეხი ეზიდებოდა შეშას საზამთროდ.

ცოლმა ეს კაცი ძალის ძალად ძლივს გაგზავნა ტყეში, შეშა რომ ჩამოეტანა ურმით. ტყიდან რომ დაბრუნდა კაცი, იქვე, სახლის წინ, გააჩერა ურემი. დაღლილობის გამო არ დასცალა. მივიდა და ჩაწვა ლოგინში. შუაღამისას ცოლმა ხელი ნაჰკრა: კაცო, ადე, მგლები შებმულან ურემში და შეშა მიაქვთო.

ეს კაცი საცვლების ამარა გამოვარდა და ხან იქით გაიქცა და ხან აქეთ. დაეჯახა ბოძებს, დაინტვრია თავპირი და იქვე გული წაუვიდა. რამდენიმე საათის შემდეგ გამოფხიზლდა ეს კაცი. მას გაუკვირდა, – ხომ სახლში ვიყავო? წამოდგა, მივიდა კარებზე, ნახა, რომ კარები დაკეტილია. ახლა ერდოდან ჩასძახა: ქალო, ქალო, კარი გამიღეო. ვითომ ქალმა გამოიღვიძა და ტყვილაზე ამბობს: კაცო, კაცო, არ გესმის, გაიღვიძე, ვიღაც მამაძაღლი მოსულა ერდოზე, უნდა შემოგვეჭრესო.

ეს კაცი დაიბნა. მას ეგონა, რომ ერდო შეეშალა, დააკვირდა გზას, თითქოს, აგერ, ამ ბილიკზე გამოვივლიდი, მოვიდოდი ამ ერდოზე, ჩავძახებდი ცოლს და ისიც კარს გამიღებდაო.

მოვიდა და მეორეთ ჩასძახა. ქალმა ისევ პირვანდულად გაიმეორა:

– კაცო, კაცო, ადე, ჰალა, ეს მამაძაღლი ხელმეორეთ მოვიდა ერდოზე, წადი ერთი და თავ-პირი დაანტვრიე, მასაო.

ეს კაცი შეშინდა, არ გამოვიდეს და არ მომკლასო და გაიქცა. შესცივდა ამ კაცს, აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

მან გადასწყვიტა, – მოდი, ნათლიასთან ჩავალ და იქნებ მას არ შეეშალოს სახლიო.

ჩავიდა ეს კაცი ნათლიის ერდოზე და უძახის ნათლიას. ნათლიამ ხმაზე იცნო, გამოვიდა, გააღო კარი და რომ ნახა ეს კაცი, შეშინდა, ეს აუცილებლივ ხორთლაღიაო.

მაგრამ ეს ნათლია გულადი იყო, აიღო ცული და გამოედევნა ნათლიმამას, მაგრამ ვერ დარწმუნებულა, რომ ეს ჩემი ნათლიმამაა. ავიდნენ ბანზე და ჩასძახეს ერდოდან. ქალმა კიდევ წინანდებურად გაიმეორა:

– კაცო, კაცო, არ გესმის, ადე, ეს ვიღაცა მამაძაღლია, მესამეჯერ მოვიდა ერდოზე, აიღე ეგ დიდი ხანჯალი, რაღა ოხრად გინდა, გადი და თავი წააგდებინეო. ამ ნათლიას შეეშინდა, ჩემი ნათლიმამა სახლში ყოფილა და ეს კაცი აუცილებლივ ხორთლაღიაო. და გაიქცა უკან სახლისაკენ. ეს ნათლიმამაც უკან გამოუდგა ნათლიას. ნათლია რო შევარდა თავის სახლში, ეს კაციც შეჰყვა, შიშისაგან ქალს კარებში გული წაუვიდა. ეს კაცი ზის წყნარად.

ნათლიას ეჭვები ეფანტება მის ხორთლაღობაზე და ჰფიქრობს, რომ აქ რაღაც მახინაციის ამბავიაო. გათენდა. ეს ორივენი ავიდნენ სახლში. ნათლია ეტყვის, რატომ დაუკეტე კარი, რა იყო მიზეზიო?

– აბა, მაგის ჭკუას ჰკითხე,

მგლები ურემში შეებმიან, რომ კარში გავარდა და თავპირი დაიმტვრია? მაგ ჭკუით ერთი ცოლი ვერ უცხოვრებია და კიდევ სხვა ქალს იყვარებსო?

აბა, ჰკითხე, კიდევ წახვალ იმ ქალთანაო? კაცმა უპასუხა: მე ისეთი სუსხი ვჭამე, რომ ის ქალი კი არა, გინდა შენც თავი დაგანებოვო.

მთქმელი ილიკო ივანიძე, სოფელი ზველი, ჩაწერილია ვახტანგ სუდაძის მიერ 1937 წელს. ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფ. N 3997.

ფოლკლორული მასალები მოგვაწოდეს გრიგოლ ჯვარიძემ და ლევან ლაფაჩმა

ფოთოლცვენა

სურნელი მოაქვს სიცოცხლის
ყოველ შენს გამოჩენასა,
შეგხვდები, თავგზა მერევა,
ველარ გაშორებ მზერასა.
შენ მილამაზებ ოცნებას,
მაძლევ სიცოცხლის რწმენასა,
განსაცდელის ჟამს იმედით
შენგან მოველი შველასა.
დრო მიდის, კაცი ბერდება,
გულიც ანელებს ძგერასა,
ვიცი, ზამთარი მოყვება
ნაღვლიან ფოთოლცვენასა.
შენც დაგტყობია ასაკი,
რაც გულში მიჩენს წყენასა,
ეშხი კი შეგრჩა ქალისა,
ცეცხლი კი აღარ ელავსა.
რაც რამე ცუდი მინახავს,
სიბერე უდრის ყველასა,
აფსუს, რამდენი წუთები
ქარს გავატანე მქროლავსა.

***

თუ ქალმა პირი მოაღო
და გადმოფინა ენაო,
მისგან ისეთებს მოისმენ,
გერჩივნოს გველის კბენაო,
სჯობს დაბრმავდე და დამუნჯდე,
დაიხშო ყურთა სმენაო,
სწრაფად და უხმოდ მოცოცხო,
თუ გინდა გადარჩენაო.

***

ქვეყნად ერი არ არსებობს
ძმათა მკვლელი ჩვენისთანა,
პირველობის გასარკვევად
ბოლო სიტყვას ამბობს დანა.
ნუთუ მუდამ ასე იყო, –
თუ დროებამ მოიტანა,
ერთმანეთის არდანდობით
ამოვწყდებით დანდათანა.
დავილიეთ, დავცოტავდით,
დავიცალეთ სახლიდანა,
ვაი, ჩემო საქართველოვ,
რა ჭირი გჭირს ამისთანა.
შურმა, შუღლმა, ძმათა მტრობამ
სიძულვილი მოგვიტანა,
სისხლის სუნი დაგვტრიალებს,
გაგვიჩინა დარდი თანა.
თავს დაგვჩხავის ყვავ-ყორანი,
სისხლის სუნზე აიშალა,
ძმათა შუღლით საქართველო
დასუსტდა და დაიღალა.
მჯერა, ღმერთი არ გაგვწირავს,
არ დაგვტოვებს ცოდვებთანა,
მტრობას შეცვლის სიყვარული,
დავიცლებით დარდისგანაც.

ავტორ-მთქმელი
ზაურ ჯვარიძე,
73 წლის, ასპინძის რაიონი
სოფელი ჭობარეთი

გამოცანები

***
პაწაწინა მწერია
შრომისათვის გარჯილი,
თუ ცუდს მოუწადინებ
მისგან წახვალ დასჯილი.
(ფუტკარი)

***
აქვს თავი და კბილები,
არც თვალი, არც ყურები,
თუ შეჭამე შენ ისა
აწვა იცის ენისა.
(ნიორი)

***
რაც რომ არის სულიერი
ყველას უნდა კვება,
ჩაიხუტებს გულში
როცა ვინმე კვდება.
(დედამიწა)

***
ღამე არის ჩინარი,
დღისით კი უჩინარი.
(ვარსკვლავები)

***
ფეხები აქვს, – ვერ დადის,
თვალები აქვს, – ვერ ხედავს,
მორცხვი არის ძალიან,
ლაპარაკსაც ვერ ბედავს.
(თოჯინა)

***
მრგვალი ტვირთის ტარება
არის მისი ქონება,
პაწაწინა მწერია
მოიშველეთ გონება.
(ხარაბუზა)

***
აიღებ და გაგეცნობა
მშობლიური ენითა,
დაგიხატავს ქვეყანას
ათასნაირ ფერითა.
(წიგნი)

***
ზოგი კაცის ნებისყოფა
საზიანოდ აიღო,
ნელნელობით ჯანმრთელობა
უნებლიედ წაიღო.
(სიგარეტი)

***
ქურდბაცაცა იმალება
სადაც ბნელი ხვრელია,
ყველასათვის ცნობილი
საზიანო მღრღნელია.
(თაგვი)

***
აქეთ-იქით მხტომარე
არც თუ დიდი მწერია,
მისი მოდგმა თავიდან
ნათესების მტერია.
(კალია)

***
შეშაზე და ნახშირზე
შედარებით იაფია,
კერძის დასამზადებლად
სულ ყველაზე სწრაფია.
(ბუნებრივი აირი)

***
ქალაქიდან ქალაქში
სწრაფად გადამატარა,
ვისაც უნდა გაჰყვება,
დიდია თუ პატარა.
(თვითმფრინავი)

***
ერთი ფრინველის წესია,
არ იშენებს ბუდეს,
გამოსაჩეკ კვერცხებს
სხვის ბუდეში უდებს.
(გუგული)

***
ერთი ტიკი მაჩუქეს,
ორი სითხე ჩაესხათ,
ვერ ვიპოვე კარები,
ნეტავ როგორ გამეხსნა.
(კვერცხი)

***
შავი ფერის ცხოველია
ზარმაცი და ნელი,
თუმცა ცხიმით მდიდარია
მისი რძე და ყველი.
(კამეჩი)

***
ზამთარშია ჭაღარა,
ზაფხულში აღარა.
(მთები)

ანტონ ბალახაშვილი,
83 წლის, ადიგენის რაიონი,
სოფელი უდე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველებო, შეგახსენებთ გაზეთის რეკვიზიტებს და უმორჩილესად გთხოვთ უახლოეს პერიოდში უზრუნველყოთ დავალიანების დაფარვა:

შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
ს/კ 223100908
„ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი
ბანკის კოდი: 220101451
ანგ.№ GE72LBO113115795007000

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com